ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევან ზაქაშვილი

გლობალური ბაზრების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა
მაკროეკონომიკის მიმართულება
ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი
მალხაზ ჩიქობავა

თბილისი 2020

ანოტაცია

ქვემოთ წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილავთ ეკონომიკურ ზრდასა და გლობალურ ბაზრებს შორის კავშირს, ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ ასპექტებს და გლობალური ბაზრების გავლენას მათზე.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები, ზრდის პრიორიტეტულობა. განხილულია ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური თეორია: კლასიკური, კეინზიანური და ნეოკლასიკური თეორიები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია გლობალური ბაზრების ძირითადი მახასიათებლები და ინსტრუმენტები. მოყვანილია ეკონომიკური ზრდის მოდელები და მათი მოკლე მიმოხილვა გლობალური ბაზრების ფაქტორის გათვალისწინებით. განხილულია ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი სახელმწიფო პოლიტიკა.

ნაშრომის მესამე ნაწილში განხილულია გლობალიზაციასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. განხილულია გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის მაჩვენებლები და გლობალურ ბაზრებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია საქართველოს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები, ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები და მოყვანილია ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ეკონომიკური ზრდის ახალი შესაძლებლობები განხილულია ტექნოლოგიური პროგრესის კონტექსტში.

Anotation

In the paper below, we discuss the relationship between economic growth and global markets, macroeconomic aspects of economic growth, and the impact of global markets.

The first part of the paper discusses the macroeconomic aspects of economic growth, the priority of growth. Various economic theories related to economic growth, such as classical, Keynesian, and neoclassical theories, have been discussed.

The second chapter of the paper discusses the main features and tools of global markets. Economic growth models and their brief overview, the global markets factor are taken into account. The paper also discusses economic policies that stimulate economic growth.

The third part of the paper discusses the risks and benefits of globalization. Integration indicators with global markets and the connection between global markets and economic growth on the example of Georgia are discussed.

At the end of the paper, there are discusses about the economic growth opportunities of Georgia and other countries of the world, the macroeconomic aspects of economic growth are presented and the recommendations related to economic growth are given. New opportunities for economic growth are discussed in the context of technological progress.

შინაარსი

შესავალი **5**

თავი I ეკონომიკური ზრდა და გლობალური ბაზრები: თეორიული ასპექტები **9**

1.1 ეკონომიკური ზრდის მოდელები 9

1.2 გლობალური ბაზრების მახასიათებლები და ინსტრუმენტები 15

თავი II გლობალიზაცია და საქართველო **25**

2.1 ეკონომიკური ზრდა და ფინანსური ბაზრები, გლობალური ბაზრების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე 25

2.2 გლობალურ ბაზრებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი საქართველოს მაგალითზე 38

2.3 გლობალურ ბაზრებთან ინტეგრირების რისკები 54

დასკვნა **58**

გამოყენებული ლიტერატურა **62**

დანართები **64**

შესავალი

მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის პოზიტიური ცვლილებების, როგორებიცაა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის და საწარმოო შესაძლებლობების ზრდა, ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდა, გამოსახატად. ეკონომიკური ზრდა თითქმის ყველა ქვეყნისთვის აქტუალურია და ეკონომიკური პრიორიტეტების სათავეშია. ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი, რომელთა გავლენის ანალიზს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას. თანამედროვე ეკონომიკური სახელმძღვანელოები ძირითადად გამოყოფენ, ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ, მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორებს.

მიწოდების ფაქტორებია :

1. ბუნებრივი რესურსების ხარისხი და რაოდენობა ;
2. შრომითი რესურსების ხარისხი და რაოდენობა;
3. ძირითადი კაპიტალის მოცულობა;
4. ტექნოლოგიები.

მოთხოვნის ფაქტორებია:

1. ერთობლივი ხარჯების დონის ამაღლება
2. რესურსების ეფექტიანი განაწილება და უტილიზაცია

აღნიშნული ფაქტორები ცალსახად დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, სწორედ ხარისხიან რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით იძლევა საშუალებას რეალური პროდუქტის წარმოების ზრდისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის ეგზოგენური ფაქტორებიც სოლიდურ გავლენას ფლობენ ზრდის განსაზღვრისას. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია გლობალური ბაზრები და მათი ერთობლიობა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეეყანაში საქონლისა და მომსახურების შესყიდვა და გაყიდვა აყალიბებს გლობალურ ბაზარს, რომელზედაც თანამედროვე მსოფლიოში დიდწილად არიან დამოკიდებულნი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკები და შესაბამისად ამ ეკონომიკების ზრდაც. კაპიტალის

გლობალური ბაზრები უზრუნველყობს კაპიტალის მოზიდვას და ეფექტიან დაბანდებას, ხოლო საქონლის საერთაშორისო ბაზრებზე ხდება ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და ეს უკანასკნელი ზრდის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

გლობალიზაციის კვალდაკვალ ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალური სარგებელი ნახონ გლობალურ ბაზრებზე გასვლით და სავაჭრო ბარიერების მაქსიმალური შემცირებით. ამ მიზნით, ქვეყნები ერთიანდებიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, იღებენ პასუხისმგებლობებს და შესაძლებლობებს. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, ასეთი ორგანიზაციაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სადაც გაწევრიანებულია 164 ქვეყანა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) შეიქმნა 1995 წლის 1 იანვარს ქალაქ ჟენევაში, შვეიცარიაში. დღესდღეობით იგი 164 წევრ ქვეყანას აერთიანებს და სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 95 % -ზე მეტი. აღსანიშნავია ისიც რომ ამჟამად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას ჰყავს 26 წევრობის კანდიდატი ქვეყანა. ბოლო 164-ე წევრის, ავღანეთის , დამატება მოხდა 2016 წელს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია წარმოადგენს 1947 წელს ხელმოწერილი „ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების “ GATT-ის სამართალმემკვიდრეს. GATT-ი წარმოადგენს მრავალმხრივ შეთანხმებას, რომელიც ადგენს წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანი წარმართვისათვის. იგი აგრეთვე გამოიყენება, როგორც საერთაშორისო ფორუმი სავაჭრო ბარიერების გაუქმების შესახებ მოლაპარაკებებისთვის.

WTO -ს ძირითადი პრონციპებია:

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, ხოლო მეორე მხრივ თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას ადგილობრივი და იმპორტული წარმოებული საქონლისთვის.
- ქვეყნების ინტეგრირება, საერთაშორისო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისთვის ერთობრივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების ბაზაზე;

- კეთილსინდისიერი დათმობების წახალისება ურთიერთდათმობების განხორციელებით;
- დავების გადაწყვეტა მოლაპარაკებების და კონსულტაციების გზით, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში GATT-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდობა;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვების და სხვა ტექნიკური ბარიერების დაწესება;
- თითოეულ ქვეყანაში პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა. "[1]

WTO და მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციები უწყობენ რა ხელს გლობალური ბაზრების განვითარებას და სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრას, სულ უფრო და უფრო დამოკიდებულს ხდიან ქვეყნების ეკონომიკებს გლობალური ბაზრის ათვისების მდგომარეობასა და ხარისხზე. ასევე უნდა აღინიშნოს რომ გლობალური ბაზრების განვითარებამ, რასაც თავის მხრივ მოყვა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება, ეკონომიკური ზრდის ახალი შესაძლებლობები გააჩინა. თანამედროვე ეკონომიკური ისტორია აჩვენებს რომ ქვეყნებმა მეტნაკლები წარმატებით შეძლეს ამ შესაძლებლობების გამოყენება და საკუთარი ადგილის პოვნა გლობალურ ბაზრზე, ამ უკანასკნელის ველური პერიპეტიების გათვალისწინებით.

ეკონომიკური ზრდა უკვე დიდი ხანია არ კარგავს აქტუალობას, შესაბამისად აქტუალურია ყველა ის გზა რომლითაც ეს ზრდა მიიღწევა. გლობალური ბაზრები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ზრდის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. ეს მნიშვნელობა გლობალურმა ბაზრებმა დიდი ხნის წინ შეიძლინა და უკვე არსებობს უამრავი ნაშრომი , კვლევა თუ მოსაზრება მათი კავშირის შესახებ ეკონომიკურ ზრდასთან. ამიტომ ქვემოთ მოცემულ ნაშრომში შევეცდები უკანასკნელი ტენდენციების და თანამედროვე სიტუაციის გათვალისწინებით სიახლე შევთავაზო მკითხველს. ამასთანავე ნაშრომში განხილული იქნება ტრადიციული ეკონომიკური თეორიები და გლობალიზაციის სოციოლოგიურ

[1] თევდორაძე, ნ., & პაპაშვილი, ლ. (2007). საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან, გვ 77-78. თბილისი: Civil education.

კულტურული ასპექტები. შევეცდები ნაშრომი იყოს მკითხველზე ორიენტირებული და ყველა შესაძლო შემთხვევაში თავს ავარიდებ რთული ეკონომეტრიკული აპარატის და რთული სამეცნიერო ენის გამოყენებას. საბოლოო ჯამში, ამ ნაშრომით , მინდა ვაჩვენო, რომ ისეთი ეკონომიკებისთვის როგორიც საქართველოს ეკონომიკაა დღესდღეობით არსებული მოსაზრება გლობალური ბაზრების შეფასებისას გადაჭარბებულია და ნეოლიბერალური დღის წესრიგით გათვალისწინებულმა ნაბიჯებმა შესაძლოა არათუ ეკონომიკურ ზრდასთან არამედ კრიზისთანაც კი მიგვიყვანოს. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო რომ ნაშრომი არ ემსახურება გლობალური ბაზრებზე არსებული ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების დაკნინებას, უარყოფითი შედეგები რაც გამოწვეულია ქვეყნების გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციისას და გლობალიზაციის მაღალი ხარისხისას ძირითადად განპირობებულია არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით რომლებსაც ქვეყნები ანხორციელებენ და არა დამოუკიდებლად გლობალიზაციით ან გლობალური ბაზრებით. სწორედ ამიტომ ნაშრომის მიზანია გლობალურ ბაზრებზე არსებული უარყოფითი და დადებითი მოვლენების კომპლექსური გათვალისწინებით წარმოაჩინოს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის როლი, წინა პლანზე გამოტანოს რეკომენდაციები რომლებიც დაეხმარება პოლიტიკის გამტარებლებს სწორი ეკონომიკური სტრატეგიის და პოლიტიკის განსაზღვრაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის საფრთხეები და რისკები რომლებიც მომდინარეობს გლობალიზაციის და გლობალურ ბაზრებზე ქვეყნების ინტეგრაციის პროცესის კვალდაკვალ.

თავი 1. ეკონომიკური ზრდა და გლობალური ბაზრები: თეორიული ასპექტები

1.1 ეკონომიკური ზრდის მოდელები

2008 წლის კრიზისისამდეც და განსაკუთრებით მას შემდეგ, ეკონომიკური ზრდის საკითხი მწვავედ დგას პოლიტიკურ დღის წესრიგში. ძალიან ბევრი უთანხმოებაა როგორ გავაკეთო ეს. ზოგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით უნდა ჩაერიოს ბაზრებზე წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად.

სხვები ამტკიცებენ, რომ მთავრობის ასეთი „ჩარევა“ ბაზარზე არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს და მათ სამომავლო გადაჭრასაც ართულებს. მათი აზრით, უნდა შევამციროთ სახელმწიფოს ზომა, მასშტაბები და ძალაუფლება. ეს ჯგუფი, ზოგადად მხარს უჭერს გადასახადების შემცირებას, დერეგულირებას და სოციალური ხარჯების შემცირებას. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლიდერები მიჰყვებოდნენ თავის გამოცხადებულ ეკონომიკური პოლიტიკას თუმცა ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული ეს ორი ძირითადი გზა უცვლელია. „მთავრობის შეხედულება ეკონომიკაზე შეიძლება შეჯამდეს რამდენიმე მოკლე ფრაზით: თუ ის მოძრაობს, დაბეგრე. თუ ის მოძრაობას განაგრძობს, მოახდინე მისი რეგულაცია. და თუ ის გაჩერდება, გაუწიე სუბსიდირება.“[2] - ეს სიტყვები როლანდ რეიგანმა, თავის ეკონომიკური გუნდის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრისას თქვა. ჩემი ანალიზი ვარაუდობს, რომ თავისუფალი ბაზრის რეფორმებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყნის წარმატებას და ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ მათი შედეგები შეზღუდულია. წინადადება იმისა, რომ ქვეყნებს შეუძლიათ ზრდის მაქსიმალური ზრდა მათი შესაბამისობის მაქსიმალური გამოყენებით თავისუფალი ბაზრის იდეალები და მათი ზიანის მიყენების პერსპექტივა ზიანს აყენებს. მთელ რიგ ქვეყნებში, თავისუფალი ბაზრის რეფორმებმა აშკარად ვერ მიაღწია სწრაფ ზრდას დიდი ხნის განმავლობაში. არადა თავისუფალი ბაზრის რეფორმების ადვოკატირებისას, ამ იდეის მხარდამჭერთა

[2] https://www.gop.gov/9-ronald-reagan-quotes-about-taxes/

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი სწორედ ისაა, რომ ყველაზე სწრაფი ზრდა მიიღწევა თავისუფალი ბაზრის პირობებში, მაქსიმალური თავისუფლებისაკენ მიმართული რეფორმების გატარებით. თავის მხრივ სწრაფი ეკონომიკური ზრდა საკმაოდ მაცდურად გამოიყურება და ქვეყნები მიუხედავად არსებული ეკონომიკური სიტუაციისა თითქმის არასდროს ამბობენ უარს უფრო სწრაფი და უფრო დიდნიშნა ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობაზე. აქ ხაზი მინდა გავუსვა ქვეყნების არსებულ ეკონომიკურ სიტუაციიას. ქვეყნები თავის მხრივ განსხვავდებიან ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, შესაბამისად ადამიანების ცხოვრების დონით. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, თითქოსდა შედარებით ღარიბი ქვეყნები უფრო დიდი მონდობენით, მუხლჩაუხრელად და უკომპრომისოდ უნდა ცდილობდნენ სწრაფი ეკონომიკური წრდის მიღწევას ვიდრე შედარებით მდიდარი ქვეყნები, მაგრამ რამდენადაც განსხვავებულები არიან მოქალაქეთა ცხოვრების დონით, იმდენად ემთხვევიან ეკონომიკური ზრდის მოთხოვნილებაში და ერთმანეთს ჰგვანან მისი მიღწევისთვის გადადგმული ნაბიჯების უკომპრომისობაში. ჩემი აზრით ამის მიზეზია მუდმივი მოლოდინი კრიზისზე. მთავრობები მუდმივად ელიან მეტნაკლებად პროგნოზირებადი (ისეთის როგორიც იყო 2008 წლის კრიზისი) ან არაპროგნოზირებადი (როგორიცაა covid 19 ვირუსით გამოწვეული კრიზისი) კრიზისის დადგომას და მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში კრიზისის შემდგომი დაძლევა შედარებით უმტკივნეულოდ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის საჭიროება არ ექვემდებარება ბევრ კამათს აკადემიური წრის გარეთ, ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიები, რომლებიც წარმოქმნის ზრდას, ძალზე სადავოა. რიგი პოლიტიკოსებისა ანტაგონიზმისკენ მიმართულ განცხადებებსაც არ ერიდება, საკუთარი, სხვისგან განსხვავებული პოზიციის გაჟღერებისას, ეკონომიკურ ზრდასთან, გლობალურ ბაზრებთან და თავისუფალ ბაზართან მიმართებაში. ამ ნაშრომში ფოკუსირებას ვაკეთებ პოლიტიკურად არც თუ ისე პოპულარულ წინადადებაზე იმის შესახებ, რომ მთავრობებმა უნდა განუსაზღვრონ, მიუთითონ კერძო სექტორის პრეროგატივები და იდეალები , თუ სურთ, რომ მათი ეკონომიკა გაიზარდოს.

ეკონომიკური ზრდა შედარებით ახალი მოვლენაა კაცობრიობის მრავალწლოვან ისტორიაში. ქრისტეშობიდან მე- 15 საუკუნეში,ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე დასავლეთ ევროპაში დაახლოებით იგივე იყო რაც ჩინეთში და ინდოეთში. 2000 იანი წლებისთვის კი გახდა 30 ჯერ უფრო მაღალი. (იხილეთ დანართი სურათი 1, 2 , 3, 4, 5) ეს ექსტრაორდინალური ზრდა დასავლეთ ევროპაში და გაცილებით მაღალი ცხოვრების დონე, სიცოცხლის უფრო მაღალი საშუალო ხანგძლივობა შესაძლებელი გახდა სამეცნიერო ტექნოლოგიური პროგრესით, უფრო დახვეწილი სატრანსპორტო საშუალებების და ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სავაჭრო საკომუნიკაციო სისტემების დახვეწით. ყოველივე ამან მე-16 საუკუნის ბოლოს ბიძგი მისცა ინდუსტრიული რევოლუციის დაწყებას.

ნიკოლას კალდორმა (1961) შეაჯამა ეს ზრდის პროცესი აშშ – სა და დასავლეთის ქვეყნების უმეტესი ნაწილში. მისი კვლევით ეკონომიკის ზრდას ამ პერიოდში მოკლედ შეეფერება ოთხი სტილიზებული ფაქტი.

1 - შრომის წილი გამოშვებაში გაიზარდა უფრო ნელა, ვიდრე კაპიტალის წილი და გამოშვება. ამიტომ გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე კაპიტალი (K / L) და ერთ სულ მოსახლეზე გამოშვება (Y / L).

2 - კაპიტალის წილი გამოშვებაში (K / Y) დარჩა მეტნაკლებად მუდმივი. გასაგები ტრენდით და მეტ ნაკლები თანხვედრით ინდუსტრიულ ეკონომიკასთან.

3 - კაპიტალიდან ამონაგებს(მოგება) და რეალურ საპროცენტო განაკვეთს არ აქვს ტრენდი, ხოლო რეალური ხელფასის განაკვეთი მიჰყვება ზრდად ტრენდს, რადგან პროდუქტიულობის საერო ზრდა (Y / L) და ერთ სულ მოსახლეზე კაპიტალი (K / L) კონვერტირდება უფრო მაღალ რეალურ ხელფასად.

4 - შემოსავლიანობას კაპიტალის (rK / Y) და შრომის (WL / Y) მიხედვით გამოკვეთილი ტენდენცია არ აქვს და რაღაც პერიოდით რჩება მუდმივი. კაპიტალის მარაგი ერთ ადამიანზე იზრდება, როგორც გამოშვება ერთ ადამიანზე.

ცხოვრების დონის ფართო განსხვავებულობა რაც დღესდღეობით ქვეყნებში გვხვდება გამოწვეულია დროთა განმავლობაში ეკონომიკის ზრდის ტემპის განსხვავებით (დანართი 2 , სურათი 1, 2, 3, 4, 5) რამაც შექმნა დისბალანსი მოსახლეობასა

და მთლიანი შემოსავლების განაწილებას შორის მთელს მსოფლიოში. 2002 წელს სამოცდაათი პროცენტი გლობალური მოსახლეობისა, ძირითადად განვითარებად ეკონომიკებში მცხოვრები, სარგებლობდა გლობალური შემოსავალის მხოლოდ 21 პროცენტით. წარსულში მცირედი განსხვავებაც კი წლიური ზრდის ტემპში , მომავალში დიდ განსხვავებას იძლევა შემოსავლის დონეებში. თუ ეკონომიკა წელიწადში 5 პროცენტით იზრდება, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გაორმაგებას 14 წელი სჭირდება , მაშინ როდესაც 70 წელი სჭირდება, თუ ის წელიწადში 1 პროცენტით იზრდება. ერთ სულ მოსახლეზე მთლიან შიდა პროდუქტის მიმდინარე დონე შესაძლებელია გაიზარდოს 10 ჯერ თუ სტაბილურად 4 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდება 58 წლის განმავლობაში, ასევე 10 ჯერ გაიზრდება მთლიან შიდა პროდუქტის მიმდინარე დონე თუ ეკონომიკური ზრდა 10% იან ნიშნულზე შენარჩუნდება 23 წლის განმავლობაში. ეს ნიშნავს რომ ღარიბი ქვეყანა რომელსაც აქვს მხოლოდ 5% -ანი განსხვავება ეკონომიკური ზრდის ტემპში მდიდარ ქვეყანასთან, შეძლებს დაეწიოს 50 ან მეტ წელში ეკონომიკური განვითარების და ცხოვრების დონით, ეს იმ პირობებში როცა 5 % იანი განსხვავება ეკონომიკური ზრდის ტემპში შენარჩუნდება მთელი ეს პერიოდი. ეკონომიკურმა ისტორიამ აჩვენა რომ ასეთი ზრდის ტემპის გრძელვალიანი შენარჩუნება შეუძლებელი ნამდვილად არაა, ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ იაპონიის და აღმოსავლეთ აზიის განვითარებული ეკონომიკების მაგალითები და გამოცდილება. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის განაწილების შედარებითი პოზიცია გასული საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა მრავალი, ახალინდუსტრიული ქვეყნისათვის. მათ შორის ბოლო ათწლეულებში ჩინეთისთვისაც. ჩინეთის „ღარიბი“ ეკონომიკა გახდა „მდიდარი“ 50 წლიან , ეკონომიკური აღმასვლის პერიოდში.

მრავალმა კვლევამ დაადგინა, (რამსი (1928), ჰაროდი (1939), დომარი (1947), სოლო (1956), კასი (1965), კოოფმანი (1965), ლუკასი (1988)) რომ ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის განვითარება, აგრეთვე წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება და წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა მთავრობის მხრიდან არიან ის უმთავრესი ფაქტორები რომელთა წყალობითაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდა. გამომდინარე ამ

ფაქტორებიდან და მათი განვითარების შესაძლებლობებიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საერთაშორისო ვაჭრობას და გლობალური ბაზრებთან ეკონომიკის ინტეგრაციის დონეს. გლობალური ბაზრები, წარმოადგენენ რა ადამიანური კაპიტალის განვითარების, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების და კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში მათი განხილვა მუდმივად აქტუალური და საინტერესოა. "ეკონომიკური ზრდა ადამიანის განვითარებაში ინვესტიციების გარეშე არამდგრადი და არაეთიკურია"[3]

ეკონომიკური ზრდა არაფერს ნიშნავს, თუ მას ხალხზე გავლენა არ ექნება. გლობალური ბაზრები ეკონომიკური ზრდის ხალხზე გადანაწილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მათი წყალობით ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეუძლიათ ჩაერთონ ეკონომიკურ აქტივობაში, ივაჭრონ კანონსდაქვემდებარებული ნებისმიერი საქონლით თუ მომსახურებით, მეწარმეებს საშუალება ეძლევათ წარუდგინონ თავიანთი პროდუქტი თითქმის მთელ მსოფლიოს, თანამედროვე ტექნოლოგიების და სავაჭრო პლატფორმების გამოყენებით გაცილებით მარტივად ვიდრე ეს ხდებოდა გასულ საუკუნეში.

ამ ქვეთავში და დანართ 2 - ში მოყვანილი ინფორმაციით, სადაც ჩანს ცხოვრების დონეში, ეკონომიკურ განვითარებაში განსხვავება ქვეყნების მიხედვით იმის თქმა მსურდა, რომ თანამედროვეობაში ეკონომიკური ზრდის მიღწევა თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა, როგორც საჭიროების(გარდაუვალობის) თვალსაზრისით ისე ამ ზრდის განხორციელებისათვის საჭირო ქმედებების და ძალისხმევის კიდევ უფრო გამრავალფეროვნების მხრივაც. შესაბამისად ქვეყნები ცდილობენ უფრო და უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები და შესაძლებლობები. ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული სწორედ ამგვარი შესაძლებლობაა გლობალური ბაზრები. საერთაშორისო ვაჭრობამ დიდი როლი შეასრულა ზრდის პროცესში . ღია ეკონომიკები გაიზარდნენ უფრო სწრაფად და ასევე „პატარა"

[3] Amartya Sen (ინდოელი წარმოშობის ფილოსოფოსი და ეკონომისტი), https://www.theguardian.com/world/2013/jul/16/amartya-sen-india-dirty-fighter#:~:text=But%20he%20admits%20%22intellectual%20wonder,development%20is%20unsustainable%20%E2%80%93%20and%20unethical.&text=It%20was%20his%20work%20which,cited%20UN's%20Human%20Development%20Index. გვ 2-3 , დელი

ეკონომიკებმა მოახერხეს სპეციალიზაცია და შედეგად პროპორციულად უფრო მეტი შემოსავლის მიღება. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ თავის მრივ ბიძგი მისცა მიგრაციას, დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდან მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისაკენ, რამაც თავის მხრივ განვითარების შესაძლებლობა მისცა გლობალურ შრომით ბაზარს. ეკონომიკური ზრდის ძირითადი თეორემები მოკლედ მიმოხილულია შემდეგ ქვეთავში.

კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა, ადამ სმიტიდან მარშალამდე, ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს შორის გამოყვეს კაპიტალის აკუმულაციის ფაქტორი და დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს მას. კლასიკური ეკონომიკური თეორიის თანახმად, ახალი და უკეთესი აღჭურვილობა ზრდის მომუშავეთა პროდუქტიულობას წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზი. დაზოგვის და ინვესტირების მაღალი ნორმა კაპიტალის აკუმულირების საშუალებას იძლევა და ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს. მათ სწამდათ ეკონომიკური ზრდის ზოგადი წონასწორობის მექანიზმის, როცა პროდუქტიულობის ზრდა ავტომატურად ნიშნავს ხელფასის განაკვეთის ზრდას. ისინი ამტკიცებდნენ რომ ეკონომიკა ლიბერალიზაციის შემდეგ უკეთესად იმუშავებს და მიწოდება შექმნის მოთხოვნას გრძელვადიან პერიოდში. (ბაპტისტ სეის კანონი , Say's law). ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ აბსოლუტურ ეკონომიკურ თავისუფლებას და მთავრობის მინიმალურ როლს ეკონომიკურ აქტივობაში. ლიბერალ ეკონომისტთა ეს იდეები განსაკუთრებით გამოსჭვიოდა დიდი ბრიტანეთის ინდუსტრიული რევოლუციის უდიდესი წარმატების მიღმა. პრაქტიკაში განხორციელებისას და შემდგომი თაობის ეკონომისტებში კლასიკური იდეები აკურატულ და ანალიტიკურ ჩარჩოებში მოექცა. რემზის (Ramsey's (1928)) მათემატიკური თეორია დანაზოგების შესახებ აჩვენებს ოპტიმალურ დაზოგვის ნორმას ინდივიდისთვის რომელსაც სურს მაქსიმალური სარგებელი ცხოვრების განმავლობაში.

სოლოუს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ მოდელს დაემატა მაკროეკონომიკული დინამიურობა მოკლევადიანი პერიოდისთვის ვიდრე გრძელვადიანი პერიოდისათვის. ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე როგორიცაა მოკლევადიანი ბიზნეს ციკლები, დასაქმებისა და გამოშვების რყევები,

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთსა და ფულის მიწოდებას შორის (კეინზი 1936). მათ მოდელში გამოშვების ზრდა დაკავშირებული იყო დანაზოგების და კაპიტალიდან ამონაგების ფარდობასთან g = s / k , სადაც g არის გამოშვების ზრდის განაკვეთი, s არის დაზოგვის ზღვრული ნორმა და k არის კაპირალის უკუგება.ჰაროდ-დომარის მოდელის მიხედვით, ქვეყანას სადაც k = 4-ს და სურს გაიზარდოს 5%-იანი ეკონომიკური ზრდით, მოუწევს დაზოგოს და ინვესტირება მოახდინოს ეროვნული შემოსავლის 20 %-ის ოდენობით. ასეთი ტრივიალური გაანგარიშება გამოიყენებოდა ხოლმე ეროვნული ეკონომიკური გეგმების ფორმალიზებისას მეორე მსოფლიო ომამდე. 1980-იანი წლების ბოლოდან, მაკროეკონომისტების დიდმა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა გრძელვადიანი საკითხებზე, განსაკუთრებით ეკონომიკური ზრდაზე სამთავრობო პოლიტიკის გავლენაზე. ეს აქცენტი მიზნად ასახავს იმის აღიარებას, რომ განსხვავებაა ქვეყნების კეთილდღეობაში და სიღარიბის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იზრდება ქვეყნის ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტული მაკროეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, უფრო ფართო გაგებით "პოლიტიკა" , რომელიც მოიცავს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც საჭიროა ეკონომიკური ზრდისთვის - კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ენდოგენური ზრდის ბოლოდროინდელი მოდელები სასარგებლოა იმის გაგებაში, თუ რატომ არის მოწინავე ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. გაფართოებული ნეოკლასიკური ჩარჩო კარგ პირობას ქმნის იმის გასაგებად და შეფასებისთვის, თუ რატომ გაიზარდა სამხრეთ კორეა გაცილებით სწრაფად, ვიდრე შეერთებული შტატები ან ევროპა ბოლო 30 წლის განმავლობაში. ამრიგად, საერთო ჯამში, ახალი და ძველი თეორიები კომბინაციაში უფრო ავსებენ ერთმანეთს ვიდრე კონკურენციაში არიან ერთმანეთთან.

1.2 გლობალური ბაზრების მახასიათებლები და ინსტრუმენტები

გლობალური ბაზრები, რომლებიც მსოფლიო მაშტაბით კონკურენციას მკვეთრად ზრდიან სტიმულირდნენ გლობალიზაციის პროცესითა და ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკებით. გლობალური ბაზრები ქმნიან ასპარეზს სადაც ხდება რესურსების ეფექტიანი გადანაწილება და მაქსიმალური კეთილდღეობა მიიღწევა ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ძალების გათვალისწინებით. იმისათვის რომ კაპიტალმა გადალახოს საზღვრები და მოხდეს შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გადანაწილება, ნეოლიბერალური დღის წესრიგი გვთავაზობს სახელმწიფოს ლეგიტიმური როლის შემცირებას ბაზრის რეგულირებაში და თვითდარეგულირებადი ბაზრების შექმნას. 1990-იანი წლების განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური ინსტიტუტების მესვეურებმა გადახედეს თავიანთ რიტორიკას „უკონტროლო ბაზრებთან“ და გლობალიზაციასთან დაკავშირებით. ეს გამოწვეული იყო იმით რომ ნეოლიბერალურმა დღის წესრიგმა ვერ შეძლო ფინანსური ბაზრების სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და პოლიტიკური სტაბილურობის მხარდაჭერა. მეორეს მხრივ რიტორიკის ცვლილება გამოიწვია , მსოფლიოს მაშტაბით, სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნილებების წინა პლანზე გადმოტანამ. მოგვიანებით განსხვავებული შეხედულებების მქონე პოლიტიკოსთა კონსენსუსი შედგა შემდეგზე: პირველ რიგში გლობალიზაციის პროცესი არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი კორპორატიული სამყაროსათვის, მაგრამ შესაძლებელია შეფერხების გარეშე გაგრძელდეს პროცესი სამთავრობო ინსტიტუტების შუამავლობით და აქტიური ჩართულობთ. ეს შეთანხმება გააჩენს ანგარიშვალდებულებას, მეტ გამჭირვალობას, მეტად უსაფრთხო ქსელებს და დამატებით შესაძლებლობებს. მეორეს მხრივ კონსენსუსი ითვალისწინებდა დაშვებულ შეცდომებს სახელმწიფო როლის პირდაპირ ბაზარზე გადაცემასთან დაკავშირებით და სახელმწიფოს ადრინდელ როლს გადასცემდა სამოქალაქო საზოგადოებას _ ერთგვარ ნდობის ჯგუფებს, თვალსაზრისით რომ პროცესებში საზოგადოება აქტიურად ჩაერთვებოდა და ამოსავალი პრინციპი იქნებოდა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გამტკიცება და მასთან დაკავშირებული საფრთხეები. მესამე კონსესუნსი

მდგომარეობდა იმაში რომ დემოკრატიის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით.

ქვეყნებმა უნდა განახორციელონ პოლიტიკა და ზომების, საფონდო ბირჟის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. განვითარებული საფონდო ბაზრები და დიდი საფონდო ბირჟები ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ეკონომიკას მაკროეკონომიკური რყევებისადმი. ხოლო უფრო ლიკვიდური და აქტიური საფონდო ბირჟები საშუალებას მისცემს ფირმებს მოახდინონ მაღალი რისკის ეფექტიანი დივერსიფიკაცია და შედარებით იაფი კაპიტალს მოზიდვა. მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბარიერებით, როგორიცაა გადასახადები და კაპიტალის ნაკადის სხვა დაბრკოლებები, შეიძლება შეიზღუდოს ფინანსური ბაზრების განვითარება. მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბარიერების ამოღებამ, რომლებიც ზღუდავს საფონდო ბირჟების განვითარებას შეიძლება გაზარდოს საფონდო ბირჟების ზომა, ლიკვიდობა და აქტივობა. რამაც თავის მხრივ, შეიძლება დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა. შესაძლებელია კაპიტალის ნაკადებთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნამ ხელი შეუწყოს უფრო მეტ ინტეგრაციას ფინანსურ ბაზრებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რისკების კიდევ უფრო შემცირება. ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისათვის მიგვანიშნებს პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან ზომების მიღების აუცილებლობაზე. ტრენინგის პროგრამებზე სახელმწიფო ხარჯების გაზრდაზე, განათლებისა და ადამიანური კაპიტალის მარაგის გაუმჯობესებაისკენ მიმართულ სხვა ნაბიჯებზე.

ფიზიკური კაპიტალის დადებითი გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ფიზიკური კაპიტალის განვითარებამ და ფინანსური სექტორის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნამ თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.

ფინანსური ბაზარი არის სპეციალიზირებული ბაზრის ფორმა, რომელიც ახდენს ფინანსური რესურსების გადაცემას ჭარბი ფინანსური ერთეულების მქონე სუბიექტებიდან დეფიციტის მქონე სუბიექტებზე , ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით, ფინანსური ბაზრები მოიცავს ყველა საფინანსო ინსტიტუტს. ამ მხრივ, ფინანსური ბაზრები ეკონომიკის ზრდის

მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ. ფინანსური რესურსების გადაცემის პროცესს მოიხსენიებენ, როგორც ფინანსურ შუამავლობას. როდესაც ვსაუბრობ გლობალური ბაზრების გავლენის შესახებ ეკონომიკურ ზრდაზე ერთ-ერთი პირველი მახსენდება ფინანსური ბაზრები. ტექნოლოგიურ პროგრესამდე, ინტერნეტის განვითარებამდე ჩვეულებრივი ადამიანები თითქმის საერთოდ ვერ მონაწილეობდნენ ფინანსურ ბაზრებში. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში სადაც მსხვილი ფინანსური ბაზრები საერთოდ არ იყო. დღესდღეობით ინტერნეტის მკვეთრმა , სწრაფმა განვითარებამ ეს სურათი შეცვალა და მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან შეგიძლია ჩაერთო ფინანსურ ბაზრებში. ამ ფაქტორმა საგრძნობლად გაზარდა ფინანსურ ბაზრებში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა და შესაბამისად ფინანსური ბაზრების გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირდაპირი კავშირის საშუალებით საშუალებას აძლევს არსებულ ფირმებს მასპინძელ ეკონომიკაში მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას და ასევე დაეხმაროს ახალი ფირმების შექმნა-განვითარებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქვეყნის ეკონომიკას ასტიმულირებს მაშინ, როდესაც ფინანსური ბაზრები შუამავლის როლს თამაშობენ ქვეყნისთვის ფინანსური ნაკადის შესაქმნელად, იქნება ეს ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ეკონომიკაში. უცხოური ინვესტიციები არამხოლოდ ფულის სახითაა წარმოდგენილი. წმინდა ფინანსურ ნაწილზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინვესტიციის შინაარსი იმ კონტექსტში თუ რა ტექნოლოგიური ცოდნა და ადამიანური კაპიტალი მოყვება ამა თუ იმ ფინანსური ბაზრიდან მომავალ ინვესტიციას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირდაპირი ფორმით გავლენას ახდენს ადგილობრივ ეკონომიკაზე ტექნოლოგიური ცოდნის, მენეჯერული უნარების გადაცემით, წარმოების ახალი პროცესის დანერგვით და პროდუქტიულობის მიღწევებით. თუმცა ინდა აღინიშნოს რომ, "ქვეყნის შესაძლებლობები და უნარები FDI- ს გამოყენებით მქასიმალური სარგებელი ნახოს შეზღუდულია ადგილობრივი პირობებით, როგორიცაა განათლების ადგილობრივი დონე და ფინანსური ბაზრების განვითარება. ძირითადად საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან მომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენს

ეკონომიკურ ზრდაზე პროდუქტიულობის ფაქტორის ამაღლებით და მასპინძელ ეკონომიკაში რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდით."[4]

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკასთან იმპორტ-ექსპორტის გზით. მაშინ როცა ადგილობრივი ინვესტიციები ავითარებენ უკვე არსებულ ადგილობრივ პროდუქტიებს, მინიმალური ტექნოლოგიური ცოდნის და ტექნიკურ-აპარატურული უზრუნველყოფის პირობებში.
- ტექნოლოგიების ტრანსფერებს, რომლითაც ახალი ტექნოლოგიები ინტეგრირდება მასპინძელ ეკონომიკაში საქონელსა და მომსახურების უკეთეს მიწოდებასთან მივყავართ. მაშინ როცა შიდა ინვესტიცია აქცენტს არ აკეთებს უკეთესი და გაუმჯობესებული მოწყობილობებისა და აპარატების საჭიროებაზე. კმაყოფილია ჩვეულებრივი მანქანებით და ამასთან ფინანსების ნაკლებობაა ახალი ტექნიკის შესაძენად.

- ადამიანური კაპიტალის გაძლიერება; ეს ხდება მასპინძელი ქვეყნების მიერ უკეთესი განათლების სისტემის შემუშავებისას რაც მოტივირებულია უცხოური ინვესტიციის მოზიდვით. თუ მასპინძელ ქვეყანას არ ესმის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა, ის არ შეუწყობს ხელს მისი მოქალაქეების საგანმანათლებლო საჭიროებების განვითარებას. შედეგად შეფერხდება ეკონომიკური ზრდა და ეს შეფერხება ადამიანური კაპიტალის განუვითარებლობით იქნება დიდწილად გამოწვეული.
- ადგილობრივი ფირმების და ინვესტორების კონკურენცია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; ნებისმიერ შემთხვევაში, კონკურენციას შეუძლია შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას. უცხოური ინვესტიციების შემოსვლამდე, ადგილობრივი ინვესტორი ინარჩუნებს სტატუს კვოს,

[4] Borensztein, E., J. De Gregorio 1998. "როგორ მოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეკონომიკურ ზრდაზე? " ჟურნალი საერთაშორისო ეკონომიკა, გვ 45-46, ვაშინგტონი.

დაბალი კონკურენციის პირობებში ისინი მსგავსად, ნაკლებეფექტიანად ასრულებენ წარმოებისა და ექსპლუატაციას.

- მეწარმეობა; პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იწვევს მასპინძელი ქვეყნის მეწარმეებში ახალი იდეების განვითარებას რათა მიიღონ დაფინანსება გლობალური ფინანსური ბაზრებიდან.

როგორც ქვეთავში ჩანს, კვლევებმა აჩვენა, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციაა ქვეყანაში, კარგად განვითარებული ფინანსური ბაზარის პირობებში, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, უფრო მაღალი ტემპით ადგილობრივ ინვესტიციასთან შედარებით. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მასშტაბების ზუსტი დადგენა რთულია მასპინძელ ქვეყანაში, რადგან ზრდის მაღალი ტემპი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა არადაკავშირებული ფაქტორების გავლენაით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე ზრდის შიდა ინვესტიციას იმით, რომ იგი ქმნის მეწარმეობის ეფექტს ადგილობრივ ინვესტორებში, რომლებიც ახდენენ უცხოელების მიერ დანერგილი მოწინავე ახალ ტექნოლოგიებს ათვისებას. ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკებში, რომლებსაც აქვთ დაბალი საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შედარებით მცირე გავლენას ახდენს ზრდაზე, რადგან არსებობს ისეთი ბარიერბი და გარეგანი ეფექტები როგრორიცაა ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრები.

მთავრობებმა, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, საჭიროა ძლიერ განვითარონ ფინანსური ბაზრები, რომ გამოიყენონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სრული პოტენციალი. ფინანსური ბაზრები მოქმედებენ, როგორც კავშირი საგარეო ფინანსურ ბაზრებსა და ეკონომიკას შორის. უკეთესით მართული ფინანსური ბაზრები, რომელსაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ახლავს თან, გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე და დიდ ეკონომიკური ზრდის ნიშნულზე, მასპინძელ ქვეყნებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყნისგან მოითხოვება ეკონომიკური პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციას. ეს მოიცავს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, სამთავრობო ბიუროკრატიების გამარტივებას,

კორუფციისგან დაცლილ ადმინისტრირებას, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების განვითარებას და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვას. ეს ნაბიჯები მეტნაკლებად ყველა ქვეყნის მთავრობის მიერ იდგმება თუმცა , ძირითადად მესამე მსოფლიოს ქვეყნები ვერ ახერხებენ ამ სტიმულების მიწოდებას მრავალეროვნულ და უცხოელი ინვესტორების წასახალისებლად.

სოლოუს ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელი იკვლევს კაპიტალის დაგროვებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირს. ის ასევე აკვირდება ცხოვრების გრძელვადიან სტანდარტებსა და ისეთ ძირეულ საკითხებს, როგორებიცაა დაზოგვის ნორმა და მოსახლეობის ზრდა. გარდა ამისა, ის აანალიზებს დროთა განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპს და განსაზღვრავს, თუ რამდენად აჩქარდება, შეჩერდება ან უცვლელი დარჩება ზრდის ტემპი. სოლოუს აზრით, ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს კაპიტალი და შრომის ზრდა. ეკონომიკა კი მაშინ აღწევს წონასწორულ მდგომარეობას, როდესაც საქონელი და კაპიტალი ერთ მუშაკზე სტაბილურდება, ეკონომიკა მოსახლეობის (ან ტექნოლოგიების) ზრდის ხარჯზე იზრდება. შესაძლოა, სოლოუს მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება ის არის, რომ ის არ ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელ შეზღუდვებსა და მწარმოებლურობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორებს (კაპიტალისა და შრომის გარდა). ნორდჰაუსი გამოყოფს ბაზრის წარუმატებლობასთან დაკავშირებულ უარყოფით გარე ფაქტორებს, რომლებიც სათბურის გაზების ემისიებს იწვევს და შესაბამისად, კლიმატზე უარყოფითად მოქმედებს. თითოეული დამბინძურებელი აგენტი მიიჩნევს, რომ მისგან გამოწვეული ემისიის დონე საზოგადოებაზე უმნიშვნელო ეფექტს ახდენს და არ ცდილობს, გააკონტროლოს საკუთარი გადაწყვეტილებები ამ ეფექტების გათვალისწინებით. შედეგად, თითოეული ეკონომიკური აგენტის საქმიანობით გამოწვეული ემისიები გლობალურ დონეზე გროვდება, კლიმატზე უარყოფით გავლენას ახდენს და ეკონომიკის ზრდასაც აფერხებს. ნორდჰაუსმა სოლოუს მოდელი კიდევ უფრო გააფართოვა და ეკონომიკურ ზრდასა და კლიმატის ცვლილებას შორის კავშირი შეისწავლა. ამან მკვლევარებს საშუალება მისცა, განესაზღვრათ, თუ როგორ შეიძლება სამთავრობო პოლიტიკის ისე შემუშავება, რომ მან გრძელვადიან პერიოდში

კეთილდღეობაზე დადებითი გავლენა იქონიოს. იმისათვის, რომ ეკონომიკასა და კლიმატის ცვლილებას შორის კავშირი დაედგინა, ნორდჰაუსმა მოდელების სამი სხვადასხვა კომპლექტი შეიმუშავა. ნორდჰაუსის მოდელის მთავარი ხიბლი სწორედ ეკონომიკური ზრდის ნაწილია. აღნიშნული მოდელი კონცეპტუალურად აყალიბებს, თუ რა გავლენას ახდენს გლობალური ბაზარი ემისიების დონეზე. მაგალითად, ეს არის წიაღისეულის წვა ენერგიისათვის, რომელიც მის მოდელში ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული (წიაღისეულის წვა, როგორც საზოგადოების ქმედება ენერგიის მისაღებად). წიაღისეულის წვა მის მოდელში წარმოჩენილია როგორც გარეგანი ეფექტი, რომელიც CO_2-ის ემისიებს იწვევს და უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე. ნორდჰაუსის მოდელის სხვა წარმოების ფაქტორები სოლოუს მოდელის მსგავსად კაპიტალი და შრომაა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) დღეს აღიარებულია, როგორც გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარი მასტიმულირებელი ძალა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. უცხოელი ინვესტორების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ–ერთი მთავარი დეტერმინანტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. ინვესტორები ყურადღებას აქცევენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. არასტაბილურობა და პოლიტიკური ანტაგონიზმით გამოწვეული კონფლიქტები აფერხებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს, რადგან არასტაბილური გარემო ინვესტორების მხრიდან აღიქმება როგორც საშიშროება, რომელიც საფრთხეს უქმნის მოცემულ სივრცეში წარმატებულ საქმიანობას. ერთ-ერთი ფაქტორი რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ასევე არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან მიმართებაში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ღიაობა, ის თუ რამდენად მიმართავს ქვეყანა პრეფერენციულ ინსტრუმენტებს ინვესტიციების ნაკადების სამართავად. FDI-ის როლი, კიდევ უფრო გაიზარდა 1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მას შემდეგ, რაც მისმა რაოდენობამ, საერთაშორისო ვაჭრობის რაოდენობას გადააჭარბა. FDI-ის განსაკუთრებით პოზიტიური ეფექტი აქვს ინდუსტრიულ სექტორში, კერძოდ კი,

ტექნოლოგიურ განვითარებაში, მუშახელის მწარმოებლურობის ზრდასა და ახალი ცოდნის თუ უნარების შეძენა-გაუმჯობესებაში. ეს პოზიტიური ეფექტები კი დამოკიდებულია დიდწილად FDI-ის ხარისხზე და ადგილობრივი ფირმების ქმედითუნარიანობაზე, რომ მიიღონ ახალი ცოდნა და გამოცდილება, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო პოლიტიკაზე. გლობალიზაციის „ახალი ტალღა“ 1990-იანი წლებიდან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად იწყება. ამ პროცესისთვის დამახასიათებელი იყო ასევე, სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და ვაშინგტონის კონსესუსის პოლიტიკის იმპლემენტაცია განვითარებად ქვეყნებში, რომელსაც მოჰყვა რადიკალურად საბაზრო ეკონომიკისკენ ორიენტირებული პოლიტიკა და კაპიტალის გამარტივებული დინება საერთაშორისო დონეზე. ეს გახლავთ ის მახასიათებლები, რაც განსაზღვრავს გლობალიზაციის „ახალ ტალღას.“ გლობალიზაციის ასეთმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა მულტინაციონალურ კომპანიებს, რომ საკუთარი სამეწარმეო პროცესები დაეშალათ სხვადასხვა სტადიებად და შემდეგ მოეხდინათ მათი აუთსორსინგი (სხვა ქვეყანაში გატანა) მეტი ეკონომიკური სარგებლისთვის. სწორედ ასეთი მიდგომა გახლავთ ის ძირითადი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მოქმედებენ დღეს მულტინაციონალური კომპანიები. თუ რა მნიშვნელობას ატარებს ასეთი მიდგომა ეკონომიკაში, ამას განვიხილავთ უფრო დეტალურად ქვემოთ, თუმცა მანამდე შევხედოთ იმას, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მეინსტრიმულ ეკონომისტებს ამ მოვლენასთან. მათი ძირითადი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში არის ის, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყანა ჩაბმულია მულტინაციონალური კომპანიების გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში, მათ აღარ სჭირდებათ სერიოზული ინდუსტრიული ბაზის შენება და შესაბამისად, არ სჭირდებათ ინდუსტრიული და საინვესტიციო პოლიტიკა იმისთვის, რომ გახდნენ კონკურენტულნი მსოფლიო ბაზარზე, იმიტომ რომ შეუძლიათ სპეციალიზდნენ ინვესტორი კომპანიების სხვადასხვა სამეწარმეო სტადიებში, რაც თავისთავად ააჩქარებს ინდუსტრიალიზაციის პროცესს. რა თქმა უნდა, ეს ასეც არის ნაწილობრივ, თუმცა რა რისკებს მოიცავს ასეთი მიდგომა და როგორ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ რისკებმა, ამის შესახებ ნაკლებ

ინფორმაციას გვაწვდიან მეინსტრიმული სახელმძღვანელოები. პოლ კრუგმანი თავის ცნობილ გეოგრაფიული ეკონომიკის თეორიაში საუბრობს აუთსორსინგის მიზეზებზე და კონკრეტულად განსხვავებული გეოგრაფიული ლოკაციების შერჩევის მიზეზებზე, რის მიხედვითაც FDI ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

ვერტიკალურ FDI-ის განსაზღვრავს დაბალი ხარჯები. ამ შემთხვევაში, ინვესტორი კომპანიები აკეთებენ შრომატევადი სამეწარმეო სტადიების აუთსორსინგს იმ ქვეყნებში, სადაც დაბალი ხელფასები და გადასახადებია, ნაკლები დანახარჯების გამო. ვერტიკალური FDI ზუსტად ხსნის სამეწარმეო პროცესების გლობალური ჩრდილოეთიდან გლობალურ სამხრეთში გადინების ფაქტს.

ჰორიზონტალურ FDI-ის განსაზღვრავს ხარისხი. ამ შემთხვევაში, ადგილმდებარეობის შერჩევისას, სამეწარმეო ხარჯებს არ ენიჭება უპირატესობა და აუთსორსინგი ხდება ხარისხის გამო, რაც შედარებით მაღალ დამატებით ღირებულებას ტოვებს მიმღებ ქვეყანში. ჰორიზონტალური FDI ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს შორის ხდება. მაგალითად, ისეთი კომპანია, როგორიცაა Boeing, ძრავის წარმოების აუთსორსინგს აკეთებს ისეთ კომპანიებში, როგორიცაა BMW ან Rolls-Royce გერმანიაში, არა დაბალი ხარჯების გამო, არამედ პროდუქტის ხარისხის და სპეციალიზაციის გამო. ამ თვალსაზრისით, ნათელი ხდება, რომ მულტინაციონალური კომპანიები აკეთებენ ისეთი სამეწარმეო სტადიების აუთსორსინგს განვითარებად ქვეყნებში, რომელიც ტოვებს დაბალ დამატებით ღირებულებას და ამის საპირისპიროდ, ისინი აკეთებენ ისეთ ინვესტიციებს განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ტოვებენ მაღალ დამატებით ღირებულებას. დამატებითი ღირებულების სწორედ ასეთი არათანაბარი გადანაწილება არის გლობალიზაციის „ახალი ტალღის“ მთავარი მახასიათებელი, რაც ქვეყნებს შორის უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც სურთ ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება, დაბალი დამატებითი ღირებულების სამეწარმეო სტადიებში ჩარჩენის რისკების წინაშე დგანან. თუმცა, გარდა ამისა:

1) თუ განვითარებადი ქვეყნები მხოლოდ ფაბრიკაციის პროცესში მიიღებენ მონაწილეობას, კომპანიების გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვს კონტრიბუცია მშპ-ში ყოველთვის შეზღუდული და იმაზე მეტად ნაკლები ექნება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.
2) იმ დამატებითი ღირებულების დიდი ნაწილი, რაც კომპანიების გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში იქმნება, ძირითადად, მულტინაციონალური კომპანიების ფილიალებში გროვდება მოგების რეპატრიაციის გამო, რის შედეგადაც ქვეყანაში, ძალიან დაბალი დამატებითი ღირებულება დარჩება.
3) თუ მთავრობა განათლებაში და ადგილობრივი ფირმების აბსორბაციის უნარების გასაუმჯობესებლად (absorption capacity) არ გაზრდის ინვესტიციებს, ტექნოლოგიური გავრცელების ეფექტი (spillover effect) მინიმალური იქნება.
4) უარყოფითი გავლენა გარემოზე და სოციალურ პროცესებზე კიდევ ერთი რისკია, თუ შესაბამისი რეგულაციები არ იარსებებს განვითარებად ქვეყნებში.
5) კომპანიების გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში თვითნებური საქმიანობა გაზრდის საგარეო შოკების გავლენას ადგილობრივ ფირმებზე და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაზე.

თავი 2. გლობალიზაცია და საქართველო

2.1 ეკონომიკური ზრდა და ფინანსური ბაზრები, გლობალური ბაზრების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკურ ზრდაზე გლობალური ბაზრების გავლენის შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით გლობალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის არსებობს საკმაო განსხვავება, საკანონმდებლო და ეთიკურ დონეზე, მაინც არსებობს კანონები და ნორმები რომლებზეც ყველა ქვეყანა თანხმდება საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვამდე. შეთანხმება ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა საკუთრების უფლება, საკანონმდებლო ბაზა, საგადასახადო სისტემა და სხვა კონკრეტული დებულებები რომელიც ბიზნესს არსებობის და განვითარების საშუალებას აძლევს. პოზიტიურ

შემთხვევებში გლობალიზაცია მიზნად ისახავს მსოფლიოს ცალკეული ეკონომიკების სარგებელს, ბაზრების ეფექტურობის გაზრდის, კონკურენციის დონის ამაღლების, სამხედრო კონფლიქტების შეზღუდვის და სიმდიდრის შედარებით თანაბარი გადანაწილების გზით. მილქენის ინსტიტუტის "მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია" 2003 წლის მოხსენებაში ხაზგასმულია გლობალიზაციასთან დაკავშირებული მრავალი სარგებელი და ასევე ასახულია გლობალიზაციასთან ასოცირებული რამდენიმე რისკი, რომლებიც მთავრობებმა და ინვესტორებმა მხედველობაში უნდა მიიღონ. აღნიშნულ მოხსენებაში მოცემული პრინციპები და მიდგომები დღესაც აქტუალურია.

გლობალიზაციის ზოგიერთი უპირატესობა მოიცავს:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: შეინიშნება ტენდენცია, რომ FDI გლობალიზაციის პირობებში იზრდება უფრო მეტად ვიდრე მსოფლიო ვაჭრობის მაჩვენებელი. ეს ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემას, გლობალური ფირმების განვითარებას და ინდუსტრიულ რესტრუქტურიზაციას.
- ტექნოლოგიური ინოვაცია: გლობალიზაციის ბიძგით გაზრდილი კონკურენცია სტიმულს აძლევს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. ტექნოლოგიური წინსვლა თავის მხრივ ასტიმულირებს გამოშვებას, წარმოების პროცესის ეფექტურობის გაზრდით.
- მასშტაბის ეკონომია: გლობალიზაცია საძუალებას აძლევს დიდ კომპანიებს მასშტაბის ეკონომიით მიღებული სარგებლის რეალიზაცია კიდევ უფრო გაზარდონ, რაც ამცირებს დანახარჯებს და ფასებს, აღნიშნული თავის მხრივ ასტიმულირებს შემდგომ ეკონომიკურ ზრდას. თუმცა გასათვალისწინებელია საფრთხე , რომ ამან შეიძლება დააზარალოს ადგილობრივი მცირე ბიზნესი, რომელიც საერთაშორისო ვიზავისთან მასშტაბის ეკონომიით კონკურენციაში დამარცხდება. კონკურენციის დონე რომელსაც ადგილობრივი ფირმები ელოდებიან გლობალურ ბაზარზე, კიდევ უფრო კომპლექსური და დინამიურია ეროვნულ ეკონომიკასთან შედარებით. შეუძლია თუ არა პატარა ფირმებს მასშტაბის ეკონომიის გარეშე კონკურენციის გაწევა, უცხოურ ბაზარზე? ხშირად

ამ კითხვაზე პასუხს სცემენ მაიკლ პორტერის 5 მოდელით,[Harvard Business Review 1979 წ.] იგი ამბობს რომ კონკურენციის დონეს განსაზღვრავს ხუთი ფაქტორი : მყიდველის ძალა, მომწოდებლის ძალა, ჩანაცვლების რისკი , ბაზარზე შესვლის რისკი და კონკურენციის ხარისხი. მიუხედავად ამ რისკებისა რომლებიც ეროვნულ ბიზნესებს გლობალური ბაზრებზე შესვლისას აქვს ეფექტიანად მართულმა არაერთმა კომპანიამ მოახერხა შეეცვალათ მიმართულება ადგილობრივიდან უცხოურისკენ და აქცენტი აეღოთ, უფრო გლობალური მიმართულებით , მათ შეძლეს მომხმარებლებისათვის შეეთავაზებინათ გლობალურად სტანდარტიზებული პროდუქტები, რომელიც უფრო საიმედო, ფუნქციური მოწინავე იყო და გამოირჩეოდა შედარებით დაბალი ფასით. გლობალურ ბაზარზე წარმატების მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგიის დასახვაა, ვინაიდან ბევრი კომპანიისთვის უცხოური ბაზრები, გაუვალ ტყედ იქცა, რომელშიც მარტივად დაკარგეს ორიენტაცია. საერთაშორისო ბაზრებზე გრძელვადიანი წარმატების მიღწევა მხოლოდ გლობალურ კომპანიებს შეუძლიათ, არა იმაზე ორიენტაციით რაც ყველას უნდა, არამედ იმ პრობლემების და დეტალების გამოსწორებაზე ფიქრით, რომლებსაც სხვები ყრადღებას არ აქცევენ.

გლობალიზაციასთან დაკავშირებული რისკები მოიცავს:

- ურთიერთდამოკიდებულება: ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს რეგიონალური ან გლობალური არასტაბილურობა. ერთი ქვეყნის ეკონომიკურმა რყევებმა შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა დაკავშირებული ქვეყნების ეკონომიკებზე. აღნიშნულის უახლესი მაგალითია კორონა ვირუსით გამოწვეული კრიზისი და ჩინეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნების ბაზრებზე სამედიცინო და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე დეფიციტი. ამით შეიძლება ითქვას რომ რამდენადაც მომგებიანია გლობალიზაცია მასშტაბის ეკონომიის გასწვრივ, იმდენად საფრთხის შემცველი და სიმყიფისკენ მიდრეკილია კრიზისების დაძლევაში.

- ეროვნული სუვერენიტეტი: ბევრი ადამიანი ხედავს საფრთხეს გლობალური ფირმების, მულტინაციონალური კორპორაციების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აღზევებაში. ამ აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს ნაციონალისტური ან/და ქსენოფობიური წრეების გაფართოება.
- სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილებისკენ მიდრეკილება: გლობალიზაციის სარგებელი შეიძლება უსამართლოდ იქნას გამოყენებული მდიდარი ერების თუ პირების მიერ, რაც უფრო მეტ ეკონომიკურ უთანასწორობას ქმნის.

2017 წლის ბოლოს გამოქვეყნებულ მიმოხილვაში მიკლენის ინსტიტუტის ავტორი, დენი როდრიკი თავის პუბლიკაციაში „ პირდაპირი საუბარი ვაჭრობაზე: იდეები მსოფლიო ეკონომიკისთვის“ ამტკიცებდა, რომ გლობალიზაციის ხელახალი დაბალანსებაა საჭირო იმისათვის, რომ მეტი სარგებელი დაუბრუნდეთ დასაქმებულებს , დასაქმების ხელშეწყობის საჭიროებები გადაიხედოს და შემოსავლის სტაბილურობის ამაღლებისკენ გადაიდგას ნაბიჯები.

ტარიფები და პროტექციონიზმის სხვა ფორმები _ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ბევრმა პოლიტიკოსმა ეჭვქვეშ დააყენა გლობალიზაციის არსებითი მხარე. მაკკინსის გლობალური ინსტიტუტის მონაცემებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული მონაცემების ანალიზის თანახმად, გლობალური ტრანსსასაზღვრო კაპიტალის ნაკადები შემცირდა 65% –ით 2007 – დან 2016 წლამდე. ამ ცხრა წლის განმავლობაში 12,4 ტრილიონი დოლარიდან 4.3 ტრილიონ დოლარამდე შემცირება გულისხმობს დაკრედიტების შემცირებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ობლიგაციების შესყიდვების შემცირებას. აშშ-სა და ევროპაში შემოიღეს ახალი საბანკო რეგულაციები, რომლითაც ჩარჩოში მოექცა კაპიტალის ნაკადები და დაწესდა ტარიფები რათა დაცული და სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო შიდა ინდუსტრიები. მაგალითად, 127% -იანი ტარიფი აშშ -ში ჩინური ქაღალდის იმპორტზე, იაპონიის 778% -იანი ტარიფი იმპორტირებულ ბრინჯზე . ბრაზილიაში - საერთოდ იმპორტის ტარიფია 10% და 35% -მდე. ახალმა მთავრობა 2019 წლის მაისში გამოაცხადა, რომ აპირებს მათი შემცირებას 2023 წლისთვის, 10 პროცენტული პუნქტით. 2016 წლის დონალდ ტრამპის არჩევნებმა აშშ-ში და ბრიტანეთის ევროკავშირის

დატოვებამ (ცნობილი, როგორც ბრექსიტი) ასევე შეუწყო ხელი ანტიგლობალიზაციის მოძრაობას. ევროპის სხვა ქვეყნებშიც ეს ტენდენციები ანტიემიგრაციულმა განწყობამ განაპირობა. მრავალი ეკონომისტი საუბრობს, რომ დღესდღეობით ტრანსსასაზღვრო ინვესტიციები არ ხდება ისე, რომ კაპიტალური ინფრასტრუქტურა აშენდეს, რადგან ინვესტორები ყველაზე დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნებს ეძებენ. გლობალიზაციის გარკვეული ფორმა შეიძლება იყოს გარდაუვალი გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ეკონომიკური კრიზისები და მათ შედეგად გამოწვეული ისტორიული წინასწარგანწყობები, ერთთათვის საბედნიეროდ და მეორეთათვის საუბედუროდ, აჭიანურებს და აფერხებს გლობალიზაციის პროცესს. აშშ-ს საბაჟო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, აშშ-ს ტარიფების ზრდამ ჩინეთის იმპორტზე 2019 წლის ივლისის შუა პერიოდიდან 20.8 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჩინეთიდან იმპორტით დაზარალებულ ამერიკელ ფერმერებს ფედერალურ მთავრობაში დაჰპირდნენ ზიანის ანაზღაურებას სწორედ ამ სატარიფო მოსაკრებლიდან.

გლიბალიზაციის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შესაფასებლად ფართოდ გამოიყენება მოდელები და ეკონომეტრიკული ანალიზი. განვიხილოთ 2 გავრცელებული მოდელი:

პირველი მოდელი: $Y_{it}=\alpha_i+\beta_i OG_{it}+\varepsilon_{it}$,

მეორე მოდელი: $Y_{it}=\alpha i+\beta_1 EGit+\beta_2 SG_{it}+\beta_3 PG_{it}+\varepsilon_{it}$,

სადაც Y არის ეკონომიკური ზრდა, OG მთლიანი გლობალიზაციის ინდექსი, EG ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი, SG სოციალური გლობალიზაციის ინდექსი, PG პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსი, i ქვეყანას და t გულისხმობს წელიწადს. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაცია ერთმნიშვნელოვნად მნიშვნელოვანი ფაქტორებია გლობალიზაციის კონტექსტში, ეკონომერტიკულ კვლევებში ძირითადად მიიღება შემდეგი რეზულტატი; მთლიანი გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობალიზაცია და პოლიტიკური გლობალიზაცია აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში თუმცა აღნიშნული მოდელებზე დაფუძნებით რთულია საბოლოო დასკვნის გამოტანა, ვინაიდან გლობალიზაციას თან ახლავს კულტურული და სოციალური ცვლილებები, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ

სარგებელს ან დანაკარგებს, რომელთა გათვალისწინებაც ეკონომიკურ მოდელებში რთული და რიგ შემთხვევებში შეუძლებელია.

ამ ქვეთავში მინდა დამატებით ვისაუბრო ინდუსტრიულ რევოლუციებზე და მათ მიმდინარეობაზე, ვინაიდან სწორედ ინდუსტრიულმა რევოლუციებმა მისცა უმთავრესი ბიძგი როგორც გლობალური ბაზრების განვითარებას, ისე მასთან და კავშირებულ ეკონომიკურ ზრდას. მეოცე საუკუნეში იწყება მესამე ინდუსტრიული რევოლუცია, 1963 წლიდან მიკროელექტრონიკის გამოგონების კვალდაკვალ. ვითარდება კავშირგაბმულობა, ინტერნეტი. მესამე ინდუსტრიული რევოლუციიდან ხდება ქარხნების აქტიური ავტომატიზაცია, ქარხნებში დასაქმებულ მუშაკებს მოუწიათ ახალი პროფესიების დაუფლება და უნარჩვევების განვითარება, რათა დარჩენილიყვნენ აქტუალურებად და დასაქმებულებად. ამ პერიოდში ქრება ბევრი პროფესია და ბევრმა უნდა განიცადოს სახეცვლილება. ინტერნეტიზაციის განვითარებამ მიგვიყვანა მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციამდე. დღესდღეობით მსოფლიოს 60% -ზე მეტი დაფარულია ინტერნეტ კავშირით და ამერიკელი ბიზნესმენის ილონ მასკის კოსმოსური პროექტით „სტარლინკი“ - რაც გულისხმობს სატელიტური კავშირით ინტერნეტ რადიო ტალღების გადაცემას კოსმოსური ხომალდების გამოყენებით - ეს მაჩვენებელი მალე 100 % -ს მიაღწევს. დღითიდღე ვითარდება ხელოვნური ინტელექტი, იხვეწება რობოტიკის ინდუსტრია, რომელიც უფრო და უფრო მეტ სივრცეს იკავებს ჩვენს ყოველდღიურობაში. ნელნელა ვუახლოვდებით იმ პერიოდს როცა ადამიანებმა უნდა ისწავლონ ამ სისტემებთან ერთად ცხოვრება, რადგან მსგავსი ტექნოლოგიური პროგრესი შეუქცევადია. სპეციალისტების შეფასებით დიჯიტალიზაცია ანგრევს ბარიერებს და საზღვრებს, იგი შეეხება ყველა სფეროს და თითქმის ყველა დასაქმებულს რომელიც ეკონომიკურ დოვლათს ქმნის. სპეციალისტები აღნიშნავენ რომ თუ წინა 3 ინდუსტრიული რევოლუციისას ზრდა იყო წრფივი, მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაში ეს ზრდა იქნება ექსპონენციალური. მეოთხე ინდუსტრიის ამოსავალი მიზანია ადამიანებს ჩამოაშოროს რუტინული საქმე, შეითავსოს ის მოქმედებები რაც დაკავშირებულია ძალისხმევასთან და უბიძგებს ადამიანებს შემოქნედებითი განვითარებისაკენ. რევოლუცია გადააჯგუფებს შრომით ბაზარს. მსოფლიო

ეკონომიკური ფორუმის პროგნოზით 2022 წლისთვის 75 მილიონი სამუშაო ადგილი გაქრება და ჩანაცვლდება შესაბამისი ტექნიკით და პროგრამული უზრუნველყოფებით. ამის პარალელურად შეიქმნება 135 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, რომელიც მოითხოვს ახალ უნარებს და განსხვავებულ გამოცდილებას. გაქრობის რისკის ქვეშაა მოლარე ოპერატორების, ტაქსის მძღოლების , ფერმაში დასაქმებულების, მშენებლის პროფესიები. ისტორია ინახავს ფუტუროლოგების მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ პროგნოზებს რომლებსაც დღესდღეობით გვაოცებენ. მაგალითად: ჯონ უოტკინსი (1900) იწინასწარმეტყველა უკაბელო ტელეფონით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილთან დაკავშირება, ნიკოლა ტესლა(1909) სტატია New York Times-ში პერსონალური მოწყობილობა რომლის საშუალებითაც გაცვლიან შეტყობინობებს, ჰიუგო გერნსბეკი (1911) რომანი რალფი1241C 41 + ვიდეოჩათი . ფუტუროლოგებს შორის დღეს გავრცელებული მოსაზრებაა, რომ 100 წელიწადში ცივილიზაცია მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს და იარსებებს ისეთი ტექნოლოგიები რომელთა წარმოდგენაც კი თანამედროვე ადამიანისთვის თითქმის შეუძლებალია. პირველი პლასტიკური საკრედიტო ბარათი გამოუშვეს 1951 წელს ნიუ იორკში. იმ პერიოდში ვერავინ წარმოიდგენდა რომ იგი თითქმის სრულად ჩაანაცვლებდა ნაღდ ანგარიშწორებას და გაამარტივებდა ვაჭრობას საერთაშორისო მასშტაბით. დღესდღეობით პლასტიკური ბარათიც ნელ-ნელა ქრება რადგან მას ანაცვლებს სხვადასხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფები. ზემოთქმული გარემოებების და პროგნოზების ამ ნაშრომში მოყვანის მიზანია ფაქტის აღნიშვნა რომ ცივილიზაცია ექსპონენციალურად ვითარდება ტექნოლოგიური მიმართულებით. ეს განვითარება მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის და რეგულირების ახალ ინსტრუმენტებს, ამასთანავე აჩენს ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური განვითარებისათვის. ბარიერების და საზღვრების მოშლა დღეს უკვე მკაფიოდ იგრძნობა განათლების სფეროში, როდესაც სტუდენტს ერთი ქვეყნიდან მეორეში შეუძლია ისწავლოს ონლაინ კურსების გამოყენებით და ჩამოყალიბდეს პროფესიონალად. დღითიდღე იზრდება დისტანციურად მომუშავეთა რიცხვიც, საქართველოშიც გამოჩნდა რამდენიმე კომპანია რომლებმაც თანამშრომლებს დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა მისცა. ეს

ტენდენცია კიდევ უფრო აასწრაფა covid-19 პანდემიამ. ესეიგი ფაქტები ადასტურებს , რომ გლობალურ ბაზრებს შორის კომუნიკაცია მარტივდება, შრომითი ბაზარი კიდევ უფრო მობილური ხდება და იცვლება შესაძლებლობების სპექტრი ეკონომიკური ზრდისთვის.

სამყაროს გაციფრულების კვალდაკვალ, იმ სამთავრობო შეზღუდვების გვერდის ავლით რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, გლობალიზაციამაც გაფართოების ახალი შესაძლებლობები გამონახა და თანდათან დაიწყო საუბარი ციფრული ინდუსტრიების დარეგულირებასა და დაბეგვრაზე, საფრანგეთის მთავრობამ უკვე გადადგა ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიმართულებიტ ისეთი კომპანიების დაბეგვრის შესაძლებლობებზე როგორებიცაა facebook, google, amazon . ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად დაიწყეს საუბარი ხელოვნური ინტელექტის რეგულირებაზეც. google-ის და მისი მშობელი კომპანიის Alphabet-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი - სუნდარ პიჩაი მხარს უჭერს ხელოვნური ინტელექტის რეგულირების. სუნდარ პიჩაიმ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა გამოცემა Financial Times-სათვის მიცემულ საკმაოდ ვრცელ ინტერვიუში. მისი თქმით, ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე ტექნოლოგიური სექტორისთვის უმნიშვნელოვანესი და უდიდესი მიღწევაა, თუმცა, უახლესი ისტორიის პრეცედენტები და მაგალითები ცხადყოფს, რომ ის შესაძლოა ბოროტად იქნეს გამოყენებული.

საინტერესოა თავისუფალი ვაჭრობის მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგიმენტების განხილვაც, ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ თავისუფალი ვაჭრობა - ეს არის შეძლებული ფენის და ქვეყნების სპეციალიზაცია გამდიდრებაში, ანუ მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებაში და მართვაში , ხოლო ღარიბი ქვეყნებისთვის სპეციალიზაცია სიღარიბეში დაბალი ტექნოლოგიების გამოყენებაში და შავი სამუშაოების შესრულებაში. თავისუფალი ვაჭრობის შედგია სოციალური უთანასწორობები ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით. თავისუფალი ვაჭრობა არის კაპიტალიზმის შინაარსობრივი არსი. მისი საფუძვლები გადმოცემული აქვთ ადამ სმიტს და დევიდ რიკარდოს თავიანთ თეორიაში, რომლებსაც შეგვიძლია ვუწოდოთ სპეციალიზაციის სიკეთე. ეს არის ხარჯების ფექტურობის მიღწევის შედარებით მოკლევადიანი სტრატეგია ღარიბისთვის

და მართვის, დომინირების სტრატეგია უკვე გამდიდრებულებისათვის. როდესაც ღარიბები ირჩევენ უარესიდან უკეთესს, რაც უკვე შეუძლიათ, იწყებენ ამ საქმით თავის რჩენას. ის თავისთავად უარს ამბობს ახალი უნარების შეძენაზე და განვითარებაზე, რადგან სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებითაა დაგავებული. თუ ღარიბი ასეთი სტრატეგიის სისწორეში უკვე დააჯერა, მდიდარს დარჩენია მხოლოდ ის, რომ არ დაუშვას ისეთი მარეგულირებელი სახელმწიფო, რომელიც გრძელვადიანი სტრატეგიების ანუ უნარების განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთების ორგანიზებას მოახდენს. ესეიგი, მდიდრები უნდა მდიდრდებოდენ იგივე მოკლევადიანი სტრატეგიით, რათა ღარიბებმა არ იშოვონ იმაზე მეტი ფული, ვიდრე თავის გადარჩენისთვის არის საჭირო. სწორედ ამისთვის შეიქმნა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩაურევლობის თეორიები, რამდენადმე აღმოჩნდა რომ ის ვითომდა არაეფექტიანი მენეჯერია. ამ დროს კი, რეალობაში სახელმწიფოც ისთი როლის მოთამაშეა, როგორისაც კერძო კაპიტალისტია, შეიძლება იყოს როგორც ეფექიანი, ისე არაეფექტიანი მმართველი. ამ ნონსენსურ თეორიებზე დაფუძნებით, საერთაშორისო ვაჭრობაში მოიგონეს ისეთი პირობები და წესები, რომლებიც შეზღუდვებს და სანქციებს აწესებს სახელმწიფოების მიერ მართულ და მათი ხელშეწყობით შექმნილ ბიზნესებზე და კრძალავს დაბალანსებული ვაჭრობის მოთხოვნებს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებებში. ადამ სმიტის არგუმენტები კაპიტალიზმის სასარგებლოდ იყო ის, რომ მოქმედი საბაზრო ძალების გარდა არსებობს კაპიტალისტების პატრიოტიზმი , მორალი და სინდისი, რაც იძულებულს ხდის მათ საზღვრებს მიღმა გატანილი წარმოებები უკან დააბრუნონ და განავითარონ. კაპიტალიზმისა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მოხდა წარმოების გატანა ამერიკიდან ინდოეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. ამერიკაში დარჩა მხოლოდ მართვის ფუნქციები, ესეიგი ფინანსური კაპიტალი, რომლის წყალობითაც ხდება მხოლოდ უკვე საკმაოდ მდიდრებსის კიდევ უფრო გამდიდრება, ხოლო მოსახლეობა, ხალხი, დასაქმებულები რჩებიან ღარიბი. შეძლებს თუ არა ამერიკა თავისივე შექმნილი თამაშის წესების დარღვევაზე მონოპოლისტის როლის შენარჩუნებას? ეს რომ ამგვარად მოხდეს, მიღწეულ იქნება ორი მიზანი: პირველი ეს არის წარმოებების კვლავ დაბრუნება

ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და კაპიტალიზმის ქვეყნის შიდა ლეგიტიმაციის აღდგენა; მეორე - ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შეზღუდვისა და აკრძალვების შენარჩუნება სხვა ქვეყანათათვის და კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის შენარჩუნება. შეიძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაადრევია, მაგრამ შეგვიძლია ვისაუბროთ, რა იქნებოდა ეს, რომ ვერ მოხდეს და დაიშალოს კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა. თუ კაპიტალიზმის მსოფლიო მაშტაბით დელეგიტიმაცია ისეთი ძალიხმიერი იქნება, რომ ბევრმა ქვეყანამ შეძლოს დაბალანსებული ვაჭრობის და ინდუსტრიალიზაციის მიზნების მკაფიო დასახვა (მათ შორის, პროტექციონიზმის ინსტრუმენტების შეუზღუდავი გამოყენებით) მივიღებდით არა მხოლოდ სოციალიზმის ფართოდ გავრცელებას, ასევე უფრო ეკოლოგიურ და სწრაფ გლობალურ განვითარებას. აი როგორ შეიძლება მოხდეს ეს. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ფართოდ გავრცელება და პროტექციონიზმი, რა თქმა უნდა, გამოიწვევს საერთაშორისო ვაჭრობაში ჯამური მოცულობის შემცირებას, თუმცა იქნება ეს გლობალური შენელების გამომწვევი, როგორც ამის გასაღებას დღესდღეობით ცდილობენ?! არა, რა თქმა უნდა. თუ ავიღებთ ისეთ საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებს, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა (მაგალითად: აფრიკა და ევროპა), განვითარებადი ქვეყნების მიერ იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის პოლტიკის განხორციელება გამოიწვევდა ორივე მხრისთვის ერთობლივი ხარჯების ფექტურობის შემცირებას (იგივე დასაქმებული პერსონალი გამოიმუშავებდა უფრო ნაკლებს), მაგრამ დასაქმდებოდა მეტი ადამიანი და საბოლოო კამში ეკონომიკა გაიზრდებოდა. დაბალანსებულ ვაჭობაზე ორიენტაციამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯამური ხარჯების ფექტურობის შემცირება, თუმცა საბოლოო ჯამში ესეც გამოიწვევს დასაქმების მაჩვენებლების ზრდას. მაგალითისთვის, თუ აფრიკა გადაწყვეტს ავტომობილების მრეწველობის განივთარებას, მისი ეს დარგი იქნება ევროპულზე უფრო არახარჯფექტიანი (თუმცა მეტად ხარჯეფექტიანი, ვიდრე უწინ არსებული სოფლის მეურნეობის სფერო), თუმცა იმპორტში დაზოგილი ფულადი სახსრებით შეისყიდიდა თავისვე წარმოების სხვა საქონელს და მომსახურებას, რაც გაზრდიდა დასაქმების დონეს და ეკონომიკას. იმპორტის რაოდენობის შემცირება ასევე გამოასწორებდა აფრიკის სავაჭრო დეფიციტს ევროპასთან. ევროპაში

მანქანათმშენებლობის დარგის ხარჯეფექტიანობა შემცირდებოდა წარმოების მასშტაბის დაკლების გამო, მაგრამ სავაჭრო ბალანსის შემცირება გამოიწვევდა აფრიკის კონტინენტიდან შედარებით იაფი მუშახელის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტის გართულებას, შედეგად იგივეს გაკეთება მოუწევდათ ევროპელებს, რასაც ადრე იაფი მუშახელი აკეთებდა. ეს აგრეთვე გაზრდიდა დასაქმების დონეს და საბოლოო ჯამში გამოიწვევდა ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ, რა ვუყოთ ისეთ ქვეყანათა წყვილს, რომლებშიც უმუშევრობა არ არის, მაგალითად ჩინეთი და ამერიკა? ან რა ვუყოთ უკვე განხილულ წყვილის სავაჭრო ურთიერთობების იმ ეტაპს, როდესაც უმუშევრობის დონის აღმოფხვრით ზრდის პოტენციალი უკვე აღარაა მოსალოდნელი? ასეთ შემთხვევაშიც დაბალანსებული ვაჭრობა და ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გამოიღებდა პოზიტიურ შედეგს, თუმცა არა დროის მოკლე პერიოდში. ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობა მოახდინოს საკუთარი მეტალურგიის პროტექცია ტარიფებით, ეკონომიკას ვერ გაზრდის უცებ, რადგანადაც უმუშევრობის დონე დაბალია და დარგის მეტად გაფართოება მუშახელის შეზღუდულობის ბარიერს წააწყდება, თუმცა შექმნის შრომის ბაზრის სტრუქტურის ეფექტიანობის გაზრდის და გამოსწორების წინაპირობას, ეს დროთა განმავლობაში გაზრდის მუშახელის შრომის ნაყოფიერებას და შესაბამისად ეკონომიკას. იგივე ანალიზი შეიძლება გავავრცელოთ ჩინეთთან მიმართებით სავაჭრო ომზე. ცხადია ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტი(სავჭრო ბალანსი) ერთბაშად ვერ გამოსწორდება, რადგან ჩინეთიდან საქონლის იმპორტზე შეზღუდვები უნდა დაბალანსდეს ადგილობრივი წარმოებით, რისთვისაც თავისუფალი მუშახელი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის. სამაგიეროდ, შედარებით ხანგძლივ პერსპექტივაში ადგილზე განვითარდება ყოფილი იმპორტული საქონლის და მომსახურების მაღალტექნოლოგიური წარმოება, რადგან მცირე დასაქმებულებიტ ბევრი პროდუქცია აწარმოონ. სხვგვარად რომ ვთქვათ, სამუშაო ძალის შეზღუდულობის პირობებში კაპიტალიზმის საწინააღმდეგო მიდგომები გამოიწვევს თანამედროვე ტექნოლოგიური ჩართულობით წარმოების მოცულობის სტიმულირებას. საბოლოოჯამში გამოვა, რომ დაბალანსებული ვაჭრობა და ინდუსტრიული პოლიტიკები, როგორც შედარებით ახალი სისტემა, გამოიწვეს უმუშევრობის დონის

შემცირებას პირველ ეტაპზე, ხოლო მომდევნო ეტაპებზე თანამედროვე ტექნოლოგიური დარგების (მაღალტექნოლოგიური პროგრესის) აჩქარებულ განვითარებას, როცა დასაქმებულთა რაოდენობის შეზღუდულობის დასაძლევად შეუძლებელი იქნება ადრინდელი მიდგომების გამოყენება: წარმოების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანა და იაფი მუშახელის იმპორტი მიგრაციის გზით. მსჯელობაში აქამდე არ გაგვითვალისწინებია კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც კითხვის ნიშნებს ბადებს ჩამორჩენილი (შედარებით ღარიბი) ქვეყნების „დაწევის“ გარდაუვლობასთან დაკავშირებით (მსოფლიო ეგალიტარიზმი). ეს შეზღუდვა არის დღესდღეობით არსებული საპატენტო კანონმდებლობა მთელს მსოფლიოში, რაც ცალსახად ზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიების დიფუზიას და მათ წარმოების პროცესში (ეკონომიკურ აქტივობაში) ჩართვას. მართლაც, რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის ხარისხით განვითარებადი დონის ქვეყანა ნამდვილად შეძლებს ეკონომიკური ზრდის მიღწევას და მასზე წინ მყოფი ქვეყნების „დაწევას“ ეკონომიკურ რბოლაში, რომელიც გლობალურ ბაზრებზე მიმდინარეობს? უკვე განვითარებული ჩრდილოეთი და დასავლეთი ასეთ ქვეყანას შეუზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემის, გამრავლების უფლებას და შეეცდება ის ტექნოლოგიები, რომლებსაც მიყიდის, ისეთ ფასში მიყიდოს, რომ მოცემულმა ქვეყანამ სარგებელი ვერანაირად ვერ ნახოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ჩინეთში ინოვაციების განვითარების პოლიტიკის მძაფრი კრიტიკა, რომლითაც ცდილობს ჩინეთის მთავრობა დაავალდებულოს მის ბაზარზე შემოსული ფირმებისგან თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობის გადაცემას ლოკალური პარტნიორებისთვის. თუმცა ეს სიტუაცია მხვეთრად შეიცვლება ახალი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკების მსოფლიო მაშტაბით დამკვიდრების და გავრცელების პირობებში. უკვე განვითარებული ქვეყნები მაღალტექნოლოგიური დაწინაურების შენარჩუნებას ჯერჯერობით ახერხებენ განვითარებადი და განუვითარებელი ქვეყნებიდან „ნათელი გონებების“ გადინების ხარჯზე. თუ თითოეული განვითარებადი ქვეყანა მაქსიმალურად შეუშლის ხელს ამგვარ გადინებას, მდიდარი ქვეყნები იძულებული იქნებიან, განავითარონ თავიანთი

განათლების სისტემა ერთის მხრივ ეგალიტარული მიმართულებით და მეორე მხრივ, ლინერალური გახადონ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონები სამეცნიერო და სხვა ჭკვიანი კადრების მობილობის , იმიგრაციის შენარჩუნების საპირწონედ. გარდა ამისა, პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ სამეცნიერო დარგებში ვიწრო სპეციალიზაცია ისევე როგორც ინტელექტუალური კადრების მიმოცვლა თავისივე მსგავსი განვითარების დონის ქვეყნებთან და სამეცნიერო თანამშრომლობა ,სადაც ბრწყინვალე ტვინების გადინების საფრთხე აღარ იქნება, ხოლო მასშტაბის ეკონომია ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ შედეგს გამოიღებს. საბოლოო ჯამში, ისევე როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება, ისე „ბრწყინვალე გონებების“ ქვეყნიდან გადინების საპირისპირო პოლიტიკები და ინტელეტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონების ლიბერალიზაცია დააჩქარებს მსოფლიო სამეცნიერო ტექნოლოგიურ პროგრესსა და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას, რომელიც სიმდიდრის გაცილებით თანაბარი გადანაწილებით იქნება წარმოდგენილი.

შეჯამების სახით მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ აღწერილი კაპიტალიზმის ალტერნატიული მსოფლიო პოლიტიკების საკმაოდ მსგავსი ეფექტი თავის დროზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ჰქონდა, რამაც კიდეც განაპირობა მსოფლიო ეკონომიური და განსაკუთრებით საბჭოთა ბანაკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გაცილებით მაღალი ტემპები ვიდრე მანამდე იყო. ამ საბჭოთა სოციალისტურმა ეპოქამ კაპიტალიზმის დასასრულის შედეგი ვერ დადო , ძირითადად იმ მიზეზის გამო, რომ მისი ფიზიკური ზომა (მოსახლეობის რაოდენობა) არ იყო საკმარისად დიდი და ვერ შეძლო ქცეულიყო მსოფლიოში გადამწყვეტ სისტემურ მოთამაშედ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ახალფეხადგმული საბჭოთა სამეცნიერო საზოგადოება ვერ გაეჯიბრებოდა ოთხჯერჯერ უფრო დიდი ზომის დასავლელ კონკურენტებს, რომელიც უახლესი ისტორიის მიხედვით, მთელი მსოფლიოს ორასწლოვანი ექსპლუატაციის შედეგად მიღებული დაგროვილი სარგებლით საზრდოობდა. ამჟამად, პოლიტიკის განმსაზღვრელი სისტემური მოთამაშე არის ჩინეთი, რომლის ეკონომიკური ზრდის პოტენციალი მოსახლეობის ჯამური რაოდენობის გამო არის იმდენი, რომ ერთ სულზე

მთლიანი შემოსავლებით შეუძლია რუსეთს დაეწიოს, ასევე არის პოტენციალი უფრო დიდ ეკონომიკა შექმნას, ვიდრე მთლიანად აზიურ - ავსტრალიური ბლოკია (ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეის ჩათვლით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი კაპიტალისტური სისტემის თამაშის წესების დარღვევის შესახებ ინიციატივები მოდის არა ჩინეთის მხრიდან (თუმცა მას შეუძლია ამ სიტუაციის შენარჩუნების გარეშეც საკმაოდ განვითარდეს), არამედ დასავლეთის უპირობო ლიდერისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან. ეს ყოველივე ქმნის იმის ფიქრის საფუძველს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თავისუფალი ვაჭრობის ფაქტობრივ-პრაქტიკული დელეგიტიმაცია დასრულდება არა ძველებურად _ ამერიკა გაატარებს ინდუსტრიალიზაციას, ხოლო სხვას ამას გაკეთებას დაუშლის _ არამედ არსებული სისტემის მთლიანი დაშლით და ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბებით. თუ ასეთი ან მსგავსი ახალი სისტემა და თამაშის წესები არ დამკვიდრდა, მაშინ ჩინეთი დაიკავებს ძველი სისტემის მოსარგებლის მთავარი ადგილს და ამ პროცესს უკვე აქვს სხვადასხვა აკადემიურ წრეებში თავისი სახელი შემობრუნებული კოლონიალიზმის (Reverse colonialism).[5] გლობალიზაციის და გლობალური ბაზრების სიკეთეების ნიღაბს ამოფარებული მსოფლიო ფინანსური ელიტები, უსუსური მთავრობების პირობებში ახერხებენ ქვეყნების ექსპლოატაციას მაქსიმალური სარგებლის მიღებისათვის. რაც ყველაზე დამაზიანებელია ეკონომიკისთვის, ამ ექსპლოატაციით ინგრევა ის ფუნდამენტი, რაც კეთილსინდისიერი ინვესტირების პირობებში ქვეყანას ეკონომიკური ზრდის საშუალებას მისცემდა. ამ ფუნდამენტში, პირველ რიგში, იგულისხმება კვალიფიკაცია, განათლება, ხარისხიანი რესურსები. სახელმწიფოებს, რა თქმა უნდა, გააჩნიათ ბერკეტები ამ მავნებლობის შესაჩერებლად, თუმცა მსოფლიოს უახლესი ეკონომიკური წარსული აჩვენებს, რომ პოლიტიკური ნების ქონის შემთხვევაშიც კი მთავრობები თითქმის უძლურნი არიან წინააღმდეგობა გაუწიონ გლობალიზაციის ამ დამანგრეველ ეფექტს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ გლობალიზაცია უკვე დასკვნით ფაზაშია და ქვეყანათა ეკონომიკებიც უკვე მეტად გაჯერებულია პრობლემებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მთავრობას საერთოდ არ აქვს

[5] გურგენიძე პ., თავისუფალი ვაჭრობა კრიზისშია. 2019, *european.ge,* 1-2.

პოლიტიკური ნება შეეწინააღმდეგოს ამ პროცესს, ხოლო ვინც ეწინააღმდეგება და იბრძვის ეროვნული ეკონომიკის ზრდისა და მდგრადი განვითარებისთვის, აქტიურად პოზიციონირებს გლობალურ ბაზარზე და სისტემური ცვლილებების მოლოდინშია.

2.2 გლობალურ ბაზრებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი საქართველოს მაგალითზე

სწორად ვიქცევით თუ არა, როდესაც თავდაუზოგავად ვზრუნავთ ეკონომიკურ ზრდაზე?! უამრავი მოქალაქისთვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც სიღარებე ჯერ ისევ მთავარ გამოწვევად რჩება, პასუხი ამ კითხვაზე მარტივი, ნათელი და მყისიერია. მაგრამ, მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ხელშესახები გაუმჯობესება ცხოვრების ისეთ საფუძვლებში, როგორებიცაა; სიცოცხლის ხანგძლივობა, ნაკლები დაავადებები, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მინიმიზაცია, ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებშიც კი არასასურველ მაჩვენებელზეა. ამერიკელის შემოსავალი, საშუალოდ, ორჯერ მეტია კორეელის, ან პორტუგალიელის შემოსავალზე, მაგრამ ამერიკელები არ არიან უფრო ჯანმრთელები, ვიდრე კორეელები ან პორტუგალიელები. წინა პლანზე ყოველთვის ეკონომიკურ ზრდას ვაყენებთ და უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ეკონომიკური ზრდის მიღწევის მიმართულება და გზა ჩვენი რეალური საჭიროებების აღსრულებისკენ ერთმანეთის მიმართ ჯვარედინია. მნიშვნელობა არ აქვს, რა ღირებულებებს ვაღიარებთ, ფსიქოლოგიური მოცემულობაა, რომ ხშირად პრინციპებს საჭიროებებზე მაღლა ვაყენებთ. მაშინაც კი, როდესაც ქვეყნისთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მოსახლეობის კვების ხარისხის გაუმჯობესება, დაბალია სიცოცხლის ხანგრძლივობა და განათლების დონე, პოლიტიკოსები ჯიუტად აცხადებენ, რომ მათ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა და ამ გამოწვევის უმთავრესად აღიარების ძლიერი არგუმენტებიც აქვთ, თუმცა ყველა არგუმენტი საბოლოოდ მიდის იქამდე, რომ ეკონომიკური ზრდის

უზრუნველყოფით ცხოვრების დონეც უმჯობესდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სწრაფი ზრდა მოითხოვება, პოლიტიკური პროცესი ვერ უზრუნველყობს საჭირო გადაწყვეტილებების დროულ მიღებას, შედეგად ადგილი აქვს ეკონომიკურ იმედგაცრუებას და ხშირია სტაგნაციის შემთხვევებიც.[6] ეკონომიკური ზრდის არჩევანის მორალური მხარე მნიშვნელოვანია, მაგრამ თანამედროვეობაში ყველა სახელმწიფო ისწრაფვის ეკონომიკური ზრდისკენ და ერთი სახელმწიფოსთვის რთულია ამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, მიუხედავად იმისა, რა მორალურ საფუძვლებს ექვემდებარება ალტერნატიული არჩევანი. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად გლობალური ბაზარი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, მითუმეტეს გლობალიზაციის პირობებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია თითქმის დასრულებულია და სულ უფრო და უფრო რთულდება გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, კაპიტალის მოზიდვა თუ სხვა სიკეთეები. რაც თითქოს თვალნათელი და ხელმისაწვდომი იყო გლობალიზაციის საწყის პერიოდში, სადღაც უკვალოდ ქრება. „ბუნებრივი გარემოს მიმდინარე კრიზისი, რაც ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთის ექსპლუატაციას უკავშირდება, წარმოადგენს ერთგვარ დაგვიანებულ „ბუმერანგის ეფექტს“, რომელიც სათავეს იღებს კრისტოფერ კოლუმბის ეპოქიდან. ეკონომიკური განვითარება დღეს დგას იმ ზღვარის წინაშე, რომელსაც რესურსების შეზღუდულობა ქმნის. ამიტომ, მდგრადი განვითარება სამართლიანი ეკონომიკური განაწილებისთვის ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენს. მდგრადი განვითარების პრინციპით, განვითარების გზა, რომელმაც ჩრდილოეთი დროთა განმავლობაში გაამდიდრა, უფრო მეტად რეგულირებული, შეზღუდული და კონტროლირებადი უნდა გახდეს. განვითარების ასეთი გაგება დროსა და სივრცეში სასრულ ცნებას წარმოადგენს და დაკავშირებულია რესურსების არამდგრად ექსპლუატაციასთან, შედეგად, იგი აღარ შეესაბამება დღევანდელ გლობალურ საჭიროებებს. თანამედროვე პროცესების უახლესი გააზრება თანამედროვე გამოწვევების პასუხად 3 განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად მოიცავს მდგრადობასაც. პირველინ

[6] Berg, H. V. (2017). Economic growth and development. 3th ed. Nebraska: world scientific publishing co. pte. ltd. გვ. 122-128

ეს არის კონკურენციის პერსპექტივაა, რომლის მიხედვით, გლობალური ჩრდილოეთი გამარჯვებულია განვითარების შეჯიბრში. მეორე, ეს არის ეგრეთ წოდებული ასტრონავტის პერსპექტივა, რომელიც დედამიწას ერთიანი რეგულირების სივრცედ გვისახავს და ამ მიზნისთვის სხვადასხვა გლობალური თანამშრომლობის შესაძლებლობებს გვთავაზობს. სამწუხაროდ, ეს მიდგომა მოიცავს დღეს არარსებულ კულტურულ და სამართლებრივ სტრუქტურებსაც, რაც გარკვეულწილად შეზღუდავდა ჩრდილოეთს, სამხრეთის სასარგებლოდ. მესამე არის საშინაო პერსპექტივაა, რომელიც ჩრდილოეთს მეტი თვითშეზღუდვისკენ მოუწოდებს და ხელს უწყობს „მორალური ეკონომიკის“ ცნების განვითარებას, რომელიც მიმართული იქნება არა დაგროვებისკენ ორიენტირებული საზოგადოებრივი ნორმების ჩამოყალიბებაზე, არამედ ეკონომიკური სიმდიდრის გადანაწილებისკენ და დეცენტრალიზაციისკენ .“[7]

სამწუხაროდ, პოლიტიკური პროცესის უხეში ზეგავლენა ქვეყნების მიერ გლობალურ ბაზრებზე გასვლისას იგრძნობა. მაგალითად, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებულია შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, სადაც მხარეები ცალსახად არათანაბარ მდგომარეობაში არიან. შეთანხმების პრეამბულაში ვკითხულობთ: „განავითარონ და გააძლიერონ არსებული მეგობრული ურთიერთობები, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის სფეროებში, იმ მიზნით, რათა ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრესს და გაზარდონ ორმხრივი სავაჭრო გაცვლების მასშტაბი”, „...თავიანთი მზადყოფნის შესახებ, მიიღონ ზომები იმისთვის, რათა ხელი შეუწყონ მათი ვაჭრობის ჰარმონიულ განვითარებას და აგრეთვე იმისთვის, რათა გააფართოონ და გაამრავალფეროვნონ თავიანთი ურთიერთთანამშრომლობა ერთობლივი ინტერესის საგნის შემადგენელ სფეროებში, იმ სფეროების ჩათვლით, რომელთაც ეს შეთანხმება არ მოიცავს და ამით შექმნან საფუძველი და ხელსაყრელი გარემო, დამყარებული თანასწორობაზე, არადისკრიმინაციულობაზე და უფლებათა და მოვალეობათა ბალანსზე”[8]. მიუხედავად ამ ჩანაწერებისა, ეს ვაჭრობა საერთოდ არაა სამართლებრივად თანასწორუფლებიანო-

[7] ვოლფგანგ ზაქსი. (2018). მდგრადი განვითარება და ბუნებრივი გარემოს კრიზისი: ოქსიმორონის პოლიტიკური ანატომია. თარგმნა - ზეზვა ზანგურაშვილი. *http://european.ge*, გვ 1-2.
[8] შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. (თ. გ.)., (გვ. 1-2).

ბაზე დამყარებული. თურქულ მხარეს გაცილებით მეტ პროდუქტზე შეუძლია ბაჟის და კვოტის დაწესება საქართველოსთვის, ვიდრე პირიქით. ეს ყველაფერი კი ხდება იმის ფონზე, რომ საქართველოს ეკონომიკაში, პირველადი დამუშავების სექტორში დასაქმებულია ამჟამად ჯამურად დასაქმებულთა არანაკლებ 46%-ისა, მეორეულ სექტორში - დაახლოებით 13%. ხოლო რაც შეეხება მესამე სექტორს (41%), აღსანიშნავია, რომ ჩვენთან, განსხვავებით განვითარებული (მაღალშემოსავლიანი) ქვეყნებისაგან, სერვისების დიდი ნაწილი დაბალკვალიფიციური და დაბალპროდუქტულია, ამ დროს განვითარებულ ქვეყნებში ხდება ინდუსტრიების სერვისებში გადასვლა (რაც მომწიფებული დეინდუსტრიალიზაციითაა ცნობილი). ე.ი., გამოდის, რომ ზემოაღნიშნული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით მომგებიან სიტუაციაში ჩაყენებული თურქული იმპორტი საქართველოში, პირველ რიგში, უარყოფით გავლენას ახდენს პირველადი დამუშავების სექტორში დასაქმებულ ადამიანებზე. ეს უარყოფითი გავლენა კიდევ უფრო მწვავეს ხდის ცხოვრების დონესთან დაკავშირებულ პრობლემას, რომლის გადაჭრის გზადაც პოლიტიკოსები ეკონომიკურ ზრდას გვთავაზობდნენ, ხოლო, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის მიღწევას მსგავსი სავაჭრო შეთანხმებებით მოელოდნენ. თუ საქართველოს უარყოფით სავაჭრო ბალანსს ქვეყნების ჭრილში განვიხილავთ, რაოდენობრივად ყველაზე დიდი დეფიციტი სწორედ თურქეთთან გვაქვს. ყოველივე ამის ფონზე, თურქეთის ეკონომიკაში პოლიტიკური თუ სხვა მიზეზებით გამოწვეული რყევები კორელაციაშია და პირდაპირ აისახება ქართულ ეკონომიკაზე. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული უარყოფითი გავლენები დიდწილად ქართული მხარის და ქართული ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობის პასუხისმგებლობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალური ბაზრის ათვისებამდე, იქნება ეს ფინანსური თუ საქონლისა და მომსახურების ბაზარი, მნიშვნელოვანია სიღრმისეულად შეფასდეს მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგები, რათა ეკონომიკური ზრდის მოტივით გადადგმულმა ნაბიჯმა, საპირისპირო შედეგამდე, რეცესიამდე არ მიგვიყვანოს.

აქვე აღსანიშნავია რომ როდესაც ინვესტიცია მიმართულია ბუნებრივ რესურსებზე, ინვესტორისთვის შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების კვალიფიკაცია და განათლების დონე, რადგან უფრო მისაღები და საინტერესოა ბუნებრივ რესურსებზე და ნედლეულსა ხელმისაწვდომობა. თვალსაჩინო მაგალითებია სამხრეთ აფრიკა, ქუვეთი და საუდის არაბეთი, რომელებიც ინვესტორთათვის ხელმისაწვდომია მათი ნავთობის და სხვა ბუნებრივი რესურსების გამო. სხვა მხრივ, ინვესტორთათვის შესაძლოა საინტერესო გახდეს იაფი მუშახელი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია დანახარჯების შემცირებისას. ამის მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ინდოეთი და ჩინეთი, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს შორის გამოირჩევიან იაფი მუშახელით და ამით ცდილობენ მოიზიდონ ინვესტორები. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს უდიდეს კომპანიებს არცთუ იშვიათად თავიანთი წარმოებები ჩინეთში და ინდოეთში გადააქვთ და ავითარებენ შესაბამის ინფრასტრუქტურას. სამწუხაროდ ამ თვალსაზრისით საქართველოს ბაზარი არაა მიმზიდველი რადგან არ გაგვაჩნია არც მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები და ვერც მუშახელის დაქირავების სიიაფით გავუწევთ კონკურენციას ჩინეთის და ინდოეთის მსგავს ქვეყნებს. ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის კი უმთავრესი ეკონომიკური ფაქტორი არის ბაზრის განვითარების ტემპები , ბაზრის ზომა და ქვეყნის რეგიონული ინტეგრაცია.

დანართში 1 დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის და ეკონომიკური ზრდა პროცენტებში 2005 -2019 წლებში. დიაგრამა თვალსაჩინოს ხდის ფაქტს რომ საშუალო მნიშვნელობიდან მნიშვნელოვანი გადახრები გამოწვეული იყო უფრო მეტად არაეკონომიკური (ომი, პოლიტიკური არასტაბილურობა, არჩევნები) მიზეზებით ვიდრე ეკონომიკურით (თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან, მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლა თუ სხვა). დანართ 3 ში მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების , მთლიანი ეროვნული პროდუქტის და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები 2015 - 2020 წლებში. მონაცემები აჩვენებს რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ არასტაბილურია და ცვალებადობით ხასიათდება, რაც იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის და მთლიანი ეროვნული შემოსავლის მონაცემებში რყევებს.

„ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მე-16 ადგილს იკავებს, ზოგადად გლობალიზაციის დონით კი 64-ე ადგილზეა. 2018 წელს გამოქვეყნებულ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში საქართველოს მე-19 ადგილი ჰქონდა მინიჭებული. ზოგადად ქვეყნის გლობალიზაციის დონე აჩვენებს, თუ რამდენადაა ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში სოციალური ეკონომიკური პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით. მიჩნეულია რომ, გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. ყოველწლიურად ქვეყნდება გლობალიზაციის ინდექსი, რომელიც შედგენილია ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტს მიერ, ის 207 ქვეყანას მოიცავს. ინდექსის პარამეტრები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი და მოიცავენ შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონის განსაზღვრა უცხოური კაპიტალის მოძრაობის და საერთაშრისო ვაჭრობის სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ხდება.“[9] რეიტინგის სათავეში სინგაპურია 96.1 ქულით, მას მოჰყვება ირლანდია, შემდეგ ლბუქსემბურგი, ნიდერლანდები, მალტა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, უნგრეთი, ესტონეთი, ბელგია, ბაჰრეინი, ჩეხეთი და შემდეგია უკვე საქართველო მე-16 პოზიციაზე. საქართველოს შემდეგ რეიტინგშია ფინეთი. რეგიონს რომ გადავხედოთ, სომხეთი 51-ე ადგილზეა, უკრაინა 54-ზე, 77-ე პოზიციაზეა აზერბაიჯანი, 107-ზე თურქეთი და 111-ე ადგილს 54.9 ქულით რუსეთი იკავებს. ეს კვლევა კარგად უჩვენებს ქვეყნების სპეციფიკაციას, რომლებიც მარტივად იკავებენ ადგილს რეიტინგის სათავეში. გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი იარაღი გლობალური ბაზრებია. გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალი პროცესია და მას აქვს დადაებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა გლობალიზაციის სიკეთეებით აღტკინებულებმა და ხიბლში შესულებმა არ უნდა უარვყოთ კულტურა თუ ცოდნა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზეა დაგროვებული, დალექილი კოლექტიური არაცნობიერის დონეზე.

როცა ვსაუბრობთ ეკონომიკური ზრდისა და გლობალური ბაზრების კავშირზე, უმნიშვნელოვანესია ეროვნული ეკონომიკის არსებული მდგომარეობის

[9] https://forbes.ge/news/1893/ekonomikuri-globalizaciis-msoflio-indeqsi.

გათვალისწინება. საქართველოში საექსპორტო ბაზა შესამჩნევად ვიწროა. ტრადიციული მეტალურგიის პროდუქცია და აგრარულის მსგავსი ისტორიული საექპორტო დარგები საკმარისი აღარაა ქვეყნის საექპორტო პოზიციის გასამყარებლად და საერთაშორისო სავაჭრო დეფიციტის შესამცირებლად, არადა გლობალური ეკონომიკა სწრაფად ვითარდება, იზდება და თვისებრივად ახალ საფეხურზე გადადის. ჩნდება ახალი სექტორები, განსაკუთრებით განათლების, ტრანსპორტის, თანამედროვე მიკროელექტრონიკის, ტექნოლოგიების და ტურიზმსა სფეროში. მაგრამ, ამ სფეროებში ჩვენი კონკურენტები ისეთი ქვეყნები არიან, რომლებსაც მსგავსი ან იგივე მიზნები აქვთ რაც ჩვენ. უკანასკნელი საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები უნდა დაეხმაროს ქვეყანას ახალ ბაზრებზე გასვლაში და ეკონომიკის დივერსიფიკაციის გაძლიერებაში, თუმცა რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ იქნება ძირითადი ფაქტორი და საკმარისი. ადგილობრივი დანაზოგების აკუმულაცია კაპიტალდაბანდებების ტემპის და მასშტაბისა გასაზრდელად უმნიშვნელოვანესი იქნება უფრო დაბალანსებული ეკონომიკური ზრდისთვისაც. ამ მხრივ საპენსიო ფონდის შექმნამ გააჩინა გარკვეული მოლოდინები თუმცა მაშინვე გაჩნდა კითხვის ნიშნები ფონდის მიერ მოზიდული სახსრების ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე ერთი გამოწვევაა საქართველოს შრომის ბაზარი, სადაც დაუსაქმებლობა და უმუშევრობა მაღალ ნიშნულს აღწევს. ქვეყნის შრომითი რესურსის თითქმის ნახევარი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში, სადაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10% -ც კი არ იწარმოება. საკმაოდ ბევრი ადამიანია მოქცეული გრძელვადიანად უმუშევართა კატეგორიაშიც. ეს პრობლემა ქართულ საზოგადოებაში, რაღაც თვალსაზრისით დიდი უსამართლობის განცდას აჩენს და უთანასწორობას განაპირობებს. საჭიროა რეფორმების განხორციელება მეტად ინკლუზიური ზრდისთვის. ეკონომიკური ზრდის და განვითარებისა კვალდაკვალ უფრო მოიმატებს ამ პრობლემის კომპლექსურობა და სირთულე. პოლიტიკური ელიტა ცალსახად არ უნდა იხსნიდეს პასუხისმგებლობას და არ უნდა ახალისებს უპასუხისმგებლო სახელმწიფოს ფორმირებას. მაგალითად: პოლიტიკოსები თავიანთ გამოსვლებში არ უნდა ამბობდნენ, რომ დასაქმება მხოლოდ ინდივიდუალური ან სამოქალაქო საზოგადოების (ბიზნესის) საკითხია და არ წარმოადგენს პოლიტიკურ

საკითხს და თითქოსდა სახელმწიფო უბრალოდ პატერნალიზმის გათვალისწინებით უზრუნველყოფს მოქალაქეებს მინიმალური სოციალური პირობებით-დაცვით. სამთავრობო უწყებების მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო სამსახურის მოძებნის და პოვნის დახმარებაში, დასაქმების ბაზრის გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტების შექმნაში. ამასთანავე, უნდა შენარჩუნდეს სოციალური დაცვის მექანიზმები ხანდაზმული , ღარიბი და დაუცველი მოქალაქეებისთვის. ეს ჯგუფები მოიცავს მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც სტრუქტურული ეკონომიკური ცვლილებების გამო შესაძლოა აღმოჩნდნენ ფიზიკური გადარჩენის რისკის წინაშე.

საქართველოს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, გიორგი ქობულია, თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: "ეკონომიკური ზრდა, რომელიც ჩვენ გვაქვს 4-5%, მაინც უფრო ინერციულია, რაც განპირობებულია იმით, რომ ათვლის საწყისი დონე არის უფრო დაბალი. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში 4000 დოლარის ფარგლებშია მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე. რა თქმა უნდა, რაც უფრო დაბალია საწყისი დონე, მით უფრო მაღალ ზრდას შეგვიძლია მივაღწიოთ და ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენთან არის საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა. ეს ფაქტორები ხელშემწყობია ეკონომიკური ზრდისთვის, ჩვენს შემთხვევაში სამწუხაროდ, ინერციული ზრდისთვის. ამ დროს, საქართველოს ეკონომიკაში ერთმნიშვნელოვნად არის უფრო მაღალი პოტენციალი და როგორც არერთხელ გვისაუბრია, იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალურად გონივრულად , ეფექტიანად გამოვიყენებთ პოტენციალს, შევძლებთ ძალისხმევის მობილიზებას , შეგვიძლია ეკონომიკური ზრდა გავაორმაგოთ 7-დან 9%-მდე. ამისთვის, რა თქმა უნდა, მთავარი გამოწვევა არის სახელმწიფო მართვის სიტემის ეფექტიანობის გაზრდა"[10]. პოტენციალის მობილიზებაში, რა თქმა უნდა, რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება იგულისხმება, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს გლობალური ფინანსური ბაზრის მხარდაჭერას, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ქვეყანაში საბანკო დაწესებულებების გარდა ფინანსური ბაზრის არცერთი ინსტიტუცია არ არსებობს. საქართველოს ეკონომიკაში, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ოდენობით მომსახურება და პროდუქცია დედაქალაქში _ თბილისში იწარმოება,

[10] https://commersant.ge/ge/post/qobulia-saqartvelos-sheudzlia-ekonomikuri-zrda-9-mde-gazardos.

რაც ძირითადად საყოფაცხოვრებო ნაწარმის, ავტომობილების და პირადი მოხმარების საგნების ვაჭრობის, უძრავი ქონების მშენებლობა-რემონტის, კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტში შექმნილი პროდუქციის და მომსახურების დამსახურებაა. დედაქალაქის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში და იმერეთში წარმოებული დამატებული ღირებულება, რაც განისაზღვრება მომსახურების და წარმოების სხვადასხვა სახეებში (აირისა და წყლის წარმოება და განაწილება, ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობა, რესტორნები, სასტუმროები და სხვ.) და სახელმწიფო მმართველობაში შექმნილი მომსახურებისა და პროდუქციისგან. მესამე ადგილს იკავებს ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც დამატებული ღირებულება წილობრივად ყველაზე დიდი მოცულობით, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში იწარმოება. მეოთხე ადგილს, საქართველოს მშპ-ში წილობრივად იკავებს აჭარის რეგიონი, აქ ყველაზე აქტიური სექტორებია წარმოების და მომსახურების ისეთი სახეები როგორიცაა წყლის წარმოება და განაწილება, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და კავშირგაბმულობა, რესტორნები სასტუმროები , და ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი მშენებლობა. ტურისტულად აჭარის რეგიონი ყველაზე აქტიური ადგილია საქართველოში, შესაბამისად ბუნებრივია, რომ აქ მაღალია რესტორნების , სასტუმროების და მშენებლობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება. ასეთი რეგიონული განაწილება აჩვენებს, რომ უმნიშვნელოვანესია ურბანიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას და თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობის შექმნას. ეკონომიკური ზრდისთვის ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

1. მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ ქვეყნის რესურსების და პოტენციალის მაქსიმალური იდენტიფიკაცია და გარკვეული სახელმწიფო ფინანსების ინვესტირება მათი განვითარებისთვის.
2. საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბება და სრულყოფა.

3. პრიორიტეტულ სექტორებში ინვესტიციების წარმატებით განხორციელებისთვის და მოსაზიდვისთვის ხელსაყრელი გარემო-პირობების და საკანონმდებლო სივრცის შექმნა.
4. სამუშაო ძალის უნარების და კვალიფიკაციის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა მთელი საქართველოს მასშტაბით და ადამიანური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანი გამოყენება, მათი ეკონომიკური აქტივობის გაზრდის წახალისებით.
5. შრომის ბაზარზე აქტიური მუშაობა ხელფასის საშუალო დონის ასამაღლებლად .

საქართველოს მაგალითის გათვალისწინებით, ამ რეკომენდაციებს ასევე დავამატებდით სეკულარიზმის მკაფიო მოდელის შემუშავებასაც. საქართველოს ეკონომიკა, მიუხედავად 20 წლიანი მიზანმიმართული ნგრევის და დაღმასვლის პერიოდისა, ჯერ კიდევ მიმართულია იმ მიზნებისკენ და ამოცანებისა , რომლებიც მომდინარეობენ მოქალაქეების საციცოცხლო საჭიროებების უზრუნველყოფისგან. ამ მიმართულების შენარჩუნება და სისტემატიზაცია უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს პოლიტიკური პროცესის მიუხედავად. დღესდღეობით საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგია სრულიად სამართლიანად აღებულია გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციაზე და ეკომომიკური ზრდის უფრო მეტი შესაძლებლობის გაჩენაზე. სტრატეგია ასევე აჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელობა აქვს საქართველოს მსგავსი მცირე ეკონომიკისთვის გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის ხარისხს და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ვინაიდან თუ ვაჭრობის ბაზრების საერთაშორისო გადანაწილებაში მონაწილეობას ექნება მყარი, სტაბილური , მდგრადი და ამავე დროს პროგრესირებადი ხასიათი, იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას და უსაფრთხოების კომპონენტსის გაძლიერებას.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, უკვე იძლევა პირველად დადებით შედეგებს. ევროკავშირი უკვე იქცა საქართველოს წამყვან სავაჭრო პარტნიორად. თუ აქვე გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატრბის ბაზარზე შესვლის პერსპექტივას და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედებას , საერთაშორისო ვაჭრობის დადებითი გავლენის

ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. მართალია, გასული ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მაღალი ზრდა, 7-10% საშუალოდ , აზიის და აფრიკის ქვეყნების ნაწილს ჰქონდა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს ქვეყნები მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით, კვლავაც ღარიბ ქვეყნებად რჩებიან, ეკონომიკის ზრდის კვალდაკვალ „ დემოგრაფიული ბუმის " გათვალისწინებით, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია „დემოგრაფიული კატასტროფა" საქართველოში და საერთოდ არაა მომხიბვლელი პერსპექტივა მშპ-ის ზრდა ერთ მოსახლეზე მოსახლეობის შემცირების ან მოსახლეობის ასიმილირების გზით. ზემოთ მაგალითად მოყვანილი ქვეყნების მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, 700-1300 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს, თუ არ ჩავთვლით ჩინეთის ეკონომიკას, რომლის მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი, მსყიდველუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით 14500 აშშ დოლარია. შედარებისათვის, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით 10000 აშშ დოლარის ფარგლებშია.[11] ჩვენ მენტალური, სოფიალური, ისტორიული თუ სხვა არცთუ შორეული წინასწარგანწყობიდან გამომდინარე, ამის საშიშროება ნალებად გვემუქრება, თუმცა ცხოვრების დონის გაზრდა დემოგრაფიულ სიტუაციაზეც დადებითად აისახება. აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკული თვალსაზრისით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც როგორც ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლებზე ისე ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე დადებითად მოქმედებს და თავისებურად სინერგიული ეფექტის მატარებელია. ამ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ პარამეტრს ცალსახად დიდ ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო ინვესტორები ქვეყნის ეკონომიკური გარემოს მიმზიდველობის და სტაბილურობის შეფასებისას. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკა მოიცავს არა მარტო ეფექტურ გაცვლით კურსს, არამედ ხელთ არსებული ყველა იმ ინსტრუმენტის გამოყენებას, რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენს ექსპორტის ზრდის წახალისებასა და პოზიტიურ საბოლოო

[11] https://data.worldbank.org/indicator/ny.gdp.mktp.kd.zg.

შედეგებზე, იქნება ეს ექსპორტის წასახალისებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ფინანსური სტიმულირება თუ ეკონომიკურ-გეოგრაფიული ორიენტაცია, ანუ რამდენად იქნება ქვეყნის ექსპორტი ორიენტირებული ისეთ ბაზრებზე, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაში იმპორტის ზრდის დიდი ეკონომიკური შესაძლებლობებია.

საინტერესოა თავისუფალი ვაჭრობის მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგიმენტების განხილვაც, ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ თავისუფალი ვაჭრობა - ეს არის შეძლებული ფენის და ქვეყნების სპეციალიზაცია გამდიდრებაში, ანუ მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებაში და მართვაში , ხოლო ღარიბი ქვეყნებისთვის სპეციალიზაცია სიღარიბეში დაბალი ტექნოლოგიების გამოყენებაში და შავი სამუშაოების შესრულებაში. თავისუფალი ვაჭრობის შედგია სოციალური უთანასწორობები ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით. თავისუფალი ვაჭრობა არის კაპიტალიზმის შინაარსობრივი არსი. მისი საფუძვლები გადმოცემული აქვთ ადამ სმიტს და დევიდ რიკარდოს თავიანთ თეორიაში, რომლებსაც შეგვიძლია ვუწოდოთ სპეციალიზაციის სიკეთე. ეს არის ხარჯების ფექტურობის მიღწევის შედარებით მოკლევადიანი სტრატეგია ღარიბისთვის და მართვის, დომინირების სტრატეგია უკვე გამდიდრებულებისათვის. როდესაც ღარიბები ირჩევენ უარესიდან უკეთესს, რაც უკვე შეუძლიათ, იწყებენ ამ საქმით თავის რჩენას. ის თავისთავად უარს ამბობს ახალი უნარების შეძენაზე და განვითარებაზე, რადგან სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებითაა დაგავებული. თუ ღარიბი ასეთი სტრატეგიის სისწორეში უკვე დააჯერა, მდიდარს დარჩენია მხოლოდ ის, რომ არ დაუშვას ისეთი მარეგულირებელი სახელმწიფო, რომელიც გრძელვადიანი სტრატეგიების ანუ უნარების განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთების ორგანიზებას მოახდენს. ესეიგი, მდიდრები უნდა მდიდრდებოდენ იგივე მოკლევადიანი სტრატეგიით, რათა ღარიბებმა არ იშოვონ იმაზე მეტი ფული, ვიდრე თავის გადარჩენისთვის არის საჭირო. სწორედ ამისთვის შეიქმნა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩაურევლობის თეორიები, რამდენადმე აღმოჩნდა რომ ის ვითომდა არაეფექტიანი მენეჯერია. ამ დროს კი, რეალობაში სახელმწიფოც ისთი როლის

მოთამაშეა, როგორისაც კერძო კაპიტალისტია, შეიძლება იყოს როგორც ეფექიანი, ისე არაეფექტიანი მმართველი. ამ ნონსენსურ თეორიებზე დაფუძნებით, საერთაშორისო ვაჭრობაში მოიგონეს ისეთი პირობები და წესები, რომლებიც შეზღუდვებს და სანქციებს აწესებს სახელმწიფოების მიერ მართულ და მათი ხელშეწყობით შექმნილ ბიზნესებზე და კრძალავს დაბალანსებული ვაჭრობის მოთხოვნებს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებებში. ადამ სმიტის არგუმენტები კაპიტალიზმის სასარგებლოდ იყო ის, რომ მოქმედი საბაზრო ძალების გარდა არსებობს კაპიტალისტების პატრიოტიზმი , მორალი და სინდისი, რაც იძულებულს ხდის მათ საზღვრებს მიღმა გატანილი წარმოებები უკან დააბრუნონ და განავითარონ. კაპიტალიზმისა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მოხდა წარმოების გატანა ამერიკიდან ინდოეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. ამერიკაში დარჩა მხოლოდ მართვის ფუნქციები, ესეიგი ფინანსური კაპიტალი, რომლის წყალობითაც ხდება მხოლოდ უკვე საკმაოდ მდიდრებსის კიდევ უფრო გამდიდრება, ხოლო მოსახლეობა, ხალხი, დასაქმებულები რჩებიან ღარიბი. შეძლებს თუ არა ამერიკა თავისივე შექმნილი თამაშის წესების დარღვევაზე მონოპოლისტის როლის შენარჩუნებას? ეს რომ ამგვარად მოხდეს, მიღწეულ იქნება ორი მიზანი: პირველი ეს არის წარმოებების კვლავ დაბრუნება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და კაპიტალიზმის ქვეყნის შიდა ლეგიტიმაციის აღდგენა; მეორე - ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შეზღუდვისა და აკრძალვების შენარჩუნება სხვა ქვეყანათათვის და კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის შენარჩუნება. შეიძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაადრევია, მაგრამ შეგვიძლია ვისაუბროთ, რა იქნებოდა ეს, რომ ვერ მოხდეს და დაიშალოს კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა. თუ კაპიტალიზმის მსოფლიო მაშტაბით დელეგიტიმაცია ისეთი ძალიხმიერი იქნება, რომ ბევრმა ქვეყანამ შეძლოს დაბალანსებული ვაჭრობის და ინდუსტრიალიზაციის მიზნების მკაფიო დასახვა (მათ შორის, პროტექციონიზმის ინსტრუმენტების შეუზღუდავი გამოყენებით) მივიღებდით არა მხოლოდ სოციალიზმის ფართოდ გავრცელებას, ასევე უფრო ეკოლოგიურ და სწრაფ გლობალურ განვითარებას. აი როგორ შეიძლება მოხდეს ეს. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ფართოდ გავრცელება და პროტექციონიზმი, რა თქმა უნდა, გამოიწვევს საერთაშორისო

ვაჭრობაში ჯამური მოცულობის შემცირებას, თუმცა იქნება ეს გლობალური შენელების გამომწვევი, როგორც ამის გასაღებას დღესდღეობით ცდილობენ?! არა, რა თქმა უნდა. თუ ავიღებთ ისეთ საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებს, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა (მაგალითად: აფრიკა და ევროპა), განვითარებადი ქვეყნების მიერ იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის პოლტიკის განხორციელება გამოიწვევდა ორივე მხრისთვის ერთობლივი ხარჯების ფექტურობის შემცირებას (იგივე დასაქმებული პერსონალი გამოიმუშავებდა უფრო ნაკლებს), მაგრამ დასაქმდებოდა მეტი ადამიანი და საბოლოო კამში ეკონომიკა გაიზრდებოდა. დაბალანსებულ ვაჭობაზე ორიენტაციამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯამური ხარჯების ფექტურობის შემცირება, თუმცა საბოლოო ჯამში ესეც გამოიწვევს დასაქმების მაჩვენებლების ზრდას. მაგალითისთვის, თუ აფრიკა გადაწყვეტს ავტომობილების მრეწველობის განივთარებას, მისი ეს დარგი იქნება ევროპულზე უფრო არახარჯფექტიანი (თუმცა მეტად ხარჯეფექტიანი, ვიდრე უწინ არსებული სოფლის მეურნეობის სფერო), თუმცა იმპორტში დაზოგილი ფულადი სახსრებით შეისყიდიდა თავისვე წარმოების სხვა საქონელს და მომსახურებას, რაც გაზრდიდა დასაქმების დონეს და ეკონომიკას. იმპორტის რაოდენობის შემცირება ასევე გამოასწორებდა აფრიკის სავაჭრო დეფიციტს ევროპასთან. ევროპაში მანქანათმშენებლობის დარგის ხარჯეფექტიანობა შემცირდებოდა წარმოების მასშტაბის დაკლების გამო, მაგრამ სავაჭრო ბალანსის შემცირება გამოიწვევდა აფრიკის კონტინენტიდან შედარებით იაფი მუშახელის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტის გართულებას, შედეგად იგივეს გაკეთება მოუწევდათ ევროპელებს, რასაც ადრე იაფი მუშახელი აკეთებდა. ეს აგრეთვე გაზრდიდა დასაქმების დონეს და საბოლოო ჯამში გამოიწვევდა ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ, რა ვუყოთ ისეთ ქვეყანათა წყვილს, რომლებშიც უმუშევრობა არ არის, მაგალითად ჩინეთი და ამერიკა? ან რა ვუყოთ უკვე განხილულ წყვილის სავაჭრო ურთიერთობების იმ ეტაპს, როდესაც უმუშევრობის დონის აღმოფხვრით ზრდის პოტენციალი უკვე აღარაა მოსალოდნელი? ასეთ შემთხვევაშიც დაბალანსებული ვაჭრობა და ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გამოიღებდა პოზიტიურ შედეგს, თუმცა არა დროის მოკლე პერიოდში. ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობა მოახდინოს საკუთარი მეტალურგიის პროტექცია

ტარიფებით, ეკონომიკას ვერ გაზრდის უცებ, რადგანადაც უმუშევრობის დონე დაბალია და დარგის მეტად გაფართოება მუშახელის შეზღუდულობის ბარიერს წააწყდება, თუმცა შექმნის შრომის ბაზრის სტრუქტურის ეფექტიანობის გაზრდის და გამოსწორების წინაპირობას, ეს დროთა განმავლობაში გაზრდის მუშახელის შრომის ნაყოფიერებას და შესაბამისად ეკონომიკას. იგივე ანალიზი შეიძლება გავავრცელოთ ჩინეთთან მიმართებით სავაჭრო ომზე. ცხადია ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტი(სავჭრო ბალანსი) ერთბაშად ვერ გამოსწორდება, რადგან ჩინეთიდან საქონლის იმპორტზე შეზღუდვები უნდა დაბალანსდეს ადგილობრივი წარმოებით, რისთვისაც თავისუფალი მუშახელი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის. სამაგიეროდ, შედარებით ხანგძლივ პერსპექტივაში ადგილზე განვითარდება ყოფილი იმპორტული საქონლის და მომსახურების მაღალტექნოლოგიური წარმოება, რადგან მცირე დასაქმებულებიტ ბევრი პროდუქცია აწარმოონ. სხვგვარად რომ ვთქვათ, სამუშაო ძალის შეზღუდულობის პირობებში კაპიტალიზმის საწინააღმდეგო მიდგომები გამოიწვევს თანამედროვე ტექნოლოგიური ჩართულობით წარმოების მოცულობის სტიმულირებას. საბოლოოჯამში გამოვა, რომ დაბალანსებული ვაჭრობა და ინდუსტრიული პოლიტიკები, როგორც შედარებით ახალი სისტემა, გამოიწვეს უმუშევრობის დონის შემცირებას პირველ ეტაპზე, ხოლო მომდევნო ეტაპებზე თანამედროვე ტექნოლოგიური დარგების (მაღალტექნოლოგიური პროგრესის) აჩქარებულ განვითარებას, როცა დასაქმებულთა რაოდენობის შეზღუდულობის დასაძლევად შეუძლებელი იქნება ადრინდელი მიდგომების გამოყენება: წარმოების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანა და იაფი მუშახელის იმპორტი მიგრაციის გზით. მსჯელობაში აქამდე არ გაგვითვალისწინებია კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც კითხვის ნიშნებს ბადებს ჩამორჩენილი (შედარებით ღარიბი) ქვეყნების „დაწევის“ გარდაუვლობასთან დაკავშირებით (მსოფლიო ეგალიტარიზმი). ეს შეზღუდვა არის დღესდღეობით არსებული საპატენტო კანონმდებლობა მთელს მსოფლიოში, რაც ცალსახად ზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიების დიფუზიას და მათ წარმოების პროცესში (ეკონომიკურ აქტივობაში) ჩართვას. მართლაც, რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის ხარისხით განვითარებადი დონის ქვეყანა

ნამდვილად შეძლებს ეკონომიკური ზრდის მიღწევას და მასზე წინ მყოფი ქვეყნების „დაწევას“ ეკონომიკურ რბოლაში, რომელიც გლობალურ ბაზრებზე მიმდინარეობს? უკვე განვითარებული ჩრდილოეთი და დასავლეთი ასეთ ქვეყანას შეუზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემის, გამრავლების უფლებას და შეეცდება ის ტექნოლოგიები, რომლებსაც მიყიდის, ისეთ ფასში მიყიდოს, რომ მოცემულმა ქვეყანამ სარგებელი ვერანაირად ვერ ნახოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ჩინეთში ინოვაციების განვითარების პოლიტიკის მძაფრი კრიტიკა, რომლითაც ცდილობს ჩინეთის მთავრობა დაავალდებულოს მის ბაზარზე შემოსული ფირმებისგან თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობის გადაცემას ლოკალური პარტნიორებისთვის. თუმცა ეს სიტუაცია მხვეთრად შეიცვლება ახალი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკების მსოფლიო მაშტაბით დამკვიდრების და გავრცელების პირობებში. უკვე განვითარებული ქვეყნები მაღალტექნოლოგიური დაწინაურების შენარჩუნებას ჯერჯერობით ახერხებენ განვითარებადი და განუვითარებელი ქვეყნებიდან „ნათელი გონებების“ გადინების ხარჯზე. თუ თითოეული განვითარებადი ქვეყანა მაქსიმალურად შეუშლის ხელს ამგვარ გადინებას, მდიდარი ქვეყნები იძულებული იქნებიან, განავითარონ თავიანთი განათლების სისტემა ერთის მხრივ ეგალიტარული მიმართულებით და მეორე მხრივ, ლინერალური გახადონ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონები სამეცნიერო და სხვა ჭკვიანი კადრების მობილობის , იმიგრაციის შენარჩუნების საპირწონედ. გარდა ამისა, პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ სამეცნიერო დარგებში ვიწრო სპეციალიზაცია ისევე როგორც ინტელექტუალური კადრების მიმოცვლა თავისივე მსგავსი განვითარების დონის ქვეყნებთან და სამეცნიერო თანამშრომლობა ,სადაც ბრწყინვალე ტვინების გადინების საფრთხე აღარ იქნება, ხოლო მასშტაბის ეკონომია ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ შედეგს გამოიღებს. საბოლოო ჯამში, ისევე როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება, ისე „ბრწყინვალე გონებების“ ქვეყნიდან გადინების საპირისპირო პოლიტიკები და ინტელეტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონების ლიბერალიზაცია დააჩქარებს მსოფლიო სამეცნიერო ტექნოლოგიურ პროგრესსა და შესაბამისად

ეკონომიკურ ზრდას, რომელიც სიმდიდრის გაცილებით თანაბარი გადანაწილებით იქნება წარმოდგენილი.

2.3 გლობალურ ბაზრებთან ინტეგრირების რისკები

ეკონომიკურ ზრდაზე გლობალური ბაზრების გავლენის შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით იმ რისკებს რომელიც ბაზრებთან ქვეყნების ეკონომიკების ინტეგრაციას ახლავს თან. გლობალიზაციაზე საუბრისას აღვნიშნეთ რომ ქვეყნების ერთმანეთთან მჭიდრო ინტეგრაცია იწვევს ერთი ქვეყნის კრიზისის და მაკროეკონომიკური რყევების სხვა ქვეყნებზე გადაცემას, ეს ბუნებრივი პროცესია და გლობალიზაციის გვიან პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ეკონომიკის ისტორიაში მსგავსი რყევების და კრიზისების არაერთი მაგალითია თუმცა სიტუაციის ანალიზისას შეგვიძლია უახლესი მაგალითი მოვიყვანოთ, რაც კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისისას წარმოჩინდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი კვლევა იმის თუ რა იქნება ეკონომიკური ზიანი გლობალური COVID-19 კოროვირუსული პანდემიისგან, თუმც ეკონომისტთა შორის ფართოდ არის გავრცელებული შეთანხმება, რომ იგი სერიოზულ ნეგატიურ გავლენას მოახდენს გლობალურ ეკონომიკაზე. წინასწარი შეფასებით ვარაუდობენ, რომ ვირუსის გლობალური პანდემიის განვითარების გამო უმეტესი ქვეყნების ეკონომიკები დაკარგავს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ღირებულების მინიმუმ 2.4 პროცენტს, 2020 წლის განმავლობაში, წამყვანმა ეკონომიკებმა უკვე შეამცირეს გლობალური ეკონომიკური ზრდის შესახებ 2020 წლის პროგნოზები 3.0 პროცენტიდან 2.4 პროცენტამდე. უკანასკნელი გათვლებით, პანდემიამდე, 2019 წლის გლობალური მშპ შეფასდა დაახლოებით 86,6 ტრილიონი აშშ დოლარად, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის 0,4 პროცენტიანი ვარდნის გამო ჯამური დანაკარგი შეადგენს 3.5 ტრილიონ აშშ დოლარს. ამასთან, ეკონომიკური ზრდის შემცირების ეს პროგნოზები გაკეთდა მანამ, სანამ COVID-19 გლობალურ პანდემიად იქცეოდა და სანამ განხორციელდებოდა

შეზღუდვები სოციალურ კონტაქტზე, ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად. რაც იმის ვარაუდს აჩენს რომ სიტუაცია კიდევ უფრო დრამატული იქნება. გლობალურმა საფონდო ბირჟებმა განიცადეს დრამატული ვარდნა, 16 მარტს დოუ ჯონსი (Dow Jones) იტყობინებოდა თავის ყველაზე მასშტაბური ერთდღიანი ვარდნის შესახებ, რომელმაც თითქმის 3,000 პუნქტი შეადგინა.[12] COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზიანი დიდწილად გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის ვარდნით, რაც ნიშნავს, რომ გლობალურ ეკონომიკაში, პანდემიის შემდეგ მომხმარებლები არ არიან მზად შეიძინონ საქონლისა და მომსახურება. (გარდა პირველადი საჭიროებისა). ეს დინამიკა ყველაზე აშკარად ფიქსირდება ძლიერად დაზარალებულ ინდუსტრიებში, როგორიცაა მოგზაურობა და ტურიზმი. ვირუსის გავრცელების შესამცირებლად, ქვეყნებმა შეზღუდვები დააწესეს მოგზაურობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრს არ შეუძლია ფრენების ბილეთების შეძენა დასვენების ან ბიზნეს სამუშაო ვიზიტებისთვის. სამომხმარებლო მოთხოვნილების ამ შემცირებამ ავიაკომპანიებს დააკარგია დაგეგმილი შემოსავალი, რაც ნიშნავს, რომ შემდეგ მათ ხარჯების შემცირება უნდა შეძლონ ფრენების რაოდენობის შემცირებით. სამთავრობო დახმარების გარეშე, საბოლოოდ ავიაკომპანიებს ასევე დასჭირდებათ სამუშაო ადგილების შემცირება, ხარჯების შემდგომი შემცირების მიზნით. იგივე დინამიკა ეხება სხვა ინდუსტრიებსაც, მაგალითად, სახეზეა ნავთობზე (ნედლი ნავთობის ფასი რეკორდულ - მინუს ნიშნულამდე დაეცა) და ახალ მანქანებზე მოთხოვნილების შემცირება, ვინაიდან შემცირდა ყოველდღიური ტრანსპორტის საჭიროება. კომპანიები დაკარგული შემოსავლის საპასუხოდ იწყებენ პერსონალის შემცირებას, შემაშფოთებელია ის, რომ ეს შექმნის დაღმავალ ეკონომიკურ სპირალს, დაუსაქმებელი მუშები ვეღარ შეძლებენ საქონლისა და მომსახურების შეძენას. სამუშაო ადგილების შემცირების მაგალითია, საცალო ვაჭრობის სფერო. უმუშევრობის ზრდა გულისხმობს გაყიდვების შემცირებას, რამაც გამოიწვია მაღაზიების დახურვა. ამავე დროს მოთხოვნა გადამისამართდა ონლაინ საცალო სეგმენტზე (რომელიც გაიზარდა კრიზისის დროს, ამაზონის და მსგავსი კომპანიების აქციების ფასმა მკვეთრად მოიმატა საფონდო ბირჟებზე). ეკონომისტები თვლიან, რომ COVID-19 პანდემიამ შეიძლება

[12] https://www.statista.com/topics/6139/covid-19-impact-on-the-global-economy/

გამოიწვიოს გლობალური რეცესიია დიდი დეპრესიის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ ეკონომიკას აშკარა საფრთხე ემუქრება, მაინც არსებობს იმედის მომცემი მიზეზები, რომ ამ საშინელი სცენარის თავიდან აცილება შეიძლება. სახელმწიფოების მთავრობებმა წინა კრიზისებისგან გამოცდილების გათვალისწინებით უკვე გადადგეს ნაბიჯები. მოთხოვნის რეცესიის შედეგების ელიმინირება შესაძლებელია გაითვალისწინოს მთავრობამ სახელმწიფო ხარჯების განსაზღვრისას. შესაბამისად, ბევრი მთავრობა ამცირებს სახელმწიფო დანახარჯებს სხვადასხვა მიმართულებით და დაზოგილ სახსრებს მიმართავს დაზარალებული მოქალაქეების ფულადი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ბიზნესის მხარდასაჭერად, რათა მოხდეს მათი პერსონალის შენარჩუნება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. გარდა ამისა, ამ კრიზისის სპეციფიკური ბუნება გულისხმობს ფაქსაც, რომ ზოგიერთმა სექტორმა შეიძლება ისარგებლოს კიდეც, მაგალითად ელექტრონული კომერცია, კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა და ჯანდაცვის ინდუსტრია. ამ ინდუსტრიების გავლენით ჯამური ზიანის, ეკონომიკური ზრდასთან მიმართებაში სულ მცირედით კომპენსირდება. დაბოლოს, არსებობს ცხადი შესაძლებლობა, რომ კრიზისს შეიძლება ჰქონდეს ზუსტი დასრულების თარიღი(მაგალითად, ვაქცინის შემუშავებისას), როდესაც გადაადგილების ყველა შეზღუდვა შეიძლება მოხსნას. ეს ნიშნავს, რომ რომ გლობალური ეკონომიკა შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს პანდემიამდელ პოზიციებზე. შესაბამისად არსებობს რამდენიმე მიზეზი, რათა ვიფიქროთ, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, შესაბამისი მთავრობის მხრიდან სწრაფი რეაგირებისა შემთხვევაში უფრო აპოკალიპტიკური პროგნოზი არ უნდა განხორციელდეს. მსგავსი კრიზისები აჩვენებს რომ, გლობალურ ბაზრებზე გადაჭარბებულად დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკები მეტად სენსიტიურად რეაგირებენ მსგავს შოკებზე რაც საბოლოო ჯამში გაცილებით მეტ დანაკარგს იწვევს ასეთი ქვეყბების ეკონომიკებში ვიდრე შედარებით თვითკმარი და ექსპორტ-იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებული ქვეყნების შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ შიდა ბაზრების ადგილობრივი წარმოებით ათვისების ფუფუნება, განსაკუთრებით გლობალური ბაზრების განვითარების ამ ეტაპზე, არც თუ ისე ბევრ ქვეყანას აქვს. მიუხედავად ამისა ყველა ქვეყანა უნდა ეცადოს სტრატეგიულად

მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებელი ადგილობრივი ფირმების წახალისებას და მათი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, იქნება ეს ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრა თუ სხვა არაფორმალური, არადეკლარირებული სარგებელი. სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებად მიიჩნევა პურ-ბურღულეულის, ხორბლის, მეფუტკრეობის პროდუქტების, შაქრის, ზეთის, პირველადი სამედიცინო დანიშნულების პროდუქტების და სხვა ისეთი პროდუქტის თუ სერვისის მაქსიმალური ნაციონალიზაცია რომელიც მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია. სწორედ აღნიშნული ბაზრის არასაკმარისმა თვითკმარობამ და შესაძლო დეფიციტმა უბიძგა საქართველოს მთავრობას გაემარტივებია ზოგიერთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის იმპორტის პროცედურა,[13] თუმცა უფრო ღრმა კრიზისის პირობებში მსგავსი ტრივიალური ნაბიჯები აღარ იქნება საკმარისი და რეალურად მივალთ პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტამდე. აქვე მინდა აღვნიშნო რომ სავაჭრო ლიბერალიზაციის პირობებში, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვის საწინააღმდეგოდ , არგუმენტი იმის შესახებ რომ პირველადი პროდუქტების დეფიციტისას, მიწების სპეკულაციური გარიგებებით დაინტერესებული წრეების მფლობელობაში არსებობამ შესაძლოა ეკონომიკა და სოციალური ცხოვრება საშინელ შედეგებამდე მიიყვანოს, საკმაოდ მყარი და გასათვალისწინებელია.

დასკვნა

მსოფლიო ქვეყნების მიერ განხორციელებულ ეკონომიკური პოლიტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ ეკონომიკური ზრდა მთავარ პრიორიტეტადაა მიჩნეული. შესაძლოა ქვეყანას სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც გააჩნდეს

[13] https://www.rs.ge/6543

(სიღარიბე, კვების დაბალი ხარისხი), მაგრამ მთავარ პრიორიტეტად მაინც ეკონომიკური ზრდა რჩება. ამის ახსნა შეგვიძლია იმით რომ მთავრობების უმრავლესობას ჯერა მსგავსი პრობლემების ეკონომიკური ზრდის მეშვეობით გადაჭრის. ასეცაა გრძელვადიან პერიოდში, თუ ეკონომიკური ზრდა სტაბილური, რეალურ ეკონომიკის სექტორზე დამყარებული და ხანგძლივია მაგრამ მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდასა და მოსახლეობის ყველაზე გჭირვებული ნაწილის ცხოვრების ხარისხს შორის დროითი ჩამორჩენაა. ამ ლაგის გადაფარვისთვის წლებია საჭირო და გამომდინარე პოლიტიკური პროცესიდან თუ სხვა ფაქტორებიდან სტაბილური და გრძელვადიანი ზრდის მიღწევა ძალიან რთულია, საჭიროებს რა დროულ-ადეკვატურ გადაწყვეტილებებს პოლიტიკოსების მხრიდან, გლობალური ბაზრების მხარდაჭერას კაპიტალის მოზიდვის, გასაღების ბაზრების, ცოდნა-გამოცდილების გაზიარების კუთხით. მაღალ პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის ეფექტი მოსახლეობის უფრო შეძლებულ ნაწილზე გადანაწილდება და არსებული პრობლემები, რომლებიც ძირითადად ნაკლებ შეძლებულ ნაწილს ეხება, კვლავ გადაუჭრელი რჩება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსების მხრიდან ეკონომიკურ ზრდაზე სწორება არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ პოპულიზმად და შესაძლოა გულწრფელობის მაღალ მაჩვენებელსაც მოიცავდეს.

გლობალიზაციის მიწურულს სულ უფრო და უფრო რთულდება ეკონომიკური ზრდის მიღწევა გლობალურ ბაზარზე ახალი პოზიციების ათვისებით, მზარდი კონკურენციის პირობებში მაღალპროცენტიანი ზრდის მიღწევა შეუძლებელ მისიად ისახება ქვეყანათა უმრავლესობისთვის, ველურ კონკურენციას შედარებით წარმატებულად უმკლავდებიან ტრადიციული ინდუსტრიული ქვეყნები, ფინანსური კაპიტალის, კვალიფიკაციის, რესურსებზე ხელმისაწვდომობის წყალობით. ამის კვალდაკვალ მესამე მსოფლიოს და განვითარებადი ქვეყნებისთვის გლობალური ბაზრებიდან სარგებლის მიზერული ნაწილი მოდის და ეს ნაწილიც სულ უფრო და უფრო მცირდება. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს რომ მაღალ განვითარებულმა ქვეყნებმა უარი უნდა თქვან ეკონომიკურ ზრდაზე და შესაძლებლობები დაუთმონ ღარიბ ქვეყნებს, თუმცა გამომდინარე თანამედროვე

მსოფლიოს პოლიტიკურ - გეორაფიული მოწყობიდან და იქედან რომ არავის სურს სიმდიდრის გადანაწილება საკუთარი კეთილდღეობის დაკარგვის ხარჯზე გვაქვს ის მოცემულობა რომელიც გვაქვს. მთავრობები ველური კონკურენციის და გლობალური ბაზრების შემოსაზღვრულობის პირობებში სხადასხვა გზებით (დიპლომატიის, მკაცრი პოლიტიკის, სავაჭრო ბარიერების, ენერგომატარებლებით მანიპულაციის, ომების) ცდილობენ გლობალურ ბაზრებზე საკუთარი ნიშის გაფართოებას. ზემოთ განვიხილეთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები საქართველოს მაგალითზე და ამ ფონზე ძნელად წარმოსადგენია ჩინეთის ან თურქეთის მსგავსი მეგა სახელმწიფოების მთავრობების მხრიდან არათუ წამგებიან არამეთ თანასწორუფლებიან შეთანხმებაზე წამოსვლა, რადგან ძლიერ სახელმწიფოებს აქვთ ბერკეტები და ცდუნება სარგებელი ნახონ უფრო სუსტების ხარჯზე.

მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ამბობს რომ ასწლეულების მანძილზე არსებობდნენ ძლიერი და სუსტი, დიდი და პატარა სახელმწიფოები. სუსტები ძლიერების გვერდით ღირსეულად არსებობდნენ თავისუფლების წყალობით. გლობალურ ბაზრებზე ყოველთვის მიმდინარეობდა მძაფრი კონკურენცია და იყვნენ და არიან სახელმწიფოები რომლებიც წარმატებულად პოზიციონირებდნენ ამ ბაზრებზე, მიუხედავად მათი მასშტაბებისა და ამას უმეტესად ახერხებდნენ თავისუფალი სახელმწიფოები, თავისუფალი საზოგადოებით.

საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ დღესდღეობით რაოდენაც გაჯერებული არ უნდა იყოს გლობალური ბაზრები და რთული იყოს ამ ბაზრებზე შესვლა, მაინც არსებობს მზარდი შესაძლებლობები გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციით გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკა. ეს შესაძლებლობები დღითიდღე ფართოვდება თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ. ჩვენ ვისაუბრეთ ხელოვნური ინტელექტის, რობოტიკის განვითარების , საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების დახვეწის შესახებ რაც გაქრობის საფრთხეს უქმნის ასობით პროფესიას და მილიონობით დასაქმებულს, თუმცა ასევე ვისაუბრეთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივებზე, რომლებიც თვისებრივად და შინაარსობრივად ახალ საფეხურზე აიყვანენ ადამიანის შრომით საქმიანობას. დღესდღეობით ეკონომიკური ზრდის

მთავარი მამოძრავებელი ძალები, გლობალური ბაზრები და გლობალიზაცია თითქოს სასრულ მონაკვეთზე დგას. ზრდის მიღწევის შესაძლებლობები თითქოსდა კატასტროფულადაა შემცირებული. ეს ყოველივე იმის ფონზე რომ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად იზრდება. აღნიშნული მთელი სიმძაფრით წარმოგვადგენიებს ეკონომიკური ზრდის საჭიროებას და გვიბიძგებს ახალი გზების ძიებისკენ. ეკონომიკური ისტორია და ზოგადად კაცობრიობის ისტორია აჩვენებს რომ სწორედ მსგავსი კრიზისული სიტუაციების შემდეგ ხდებოდა გარდამტეხი ტექნოლოგიური მიღწევების გაჩენა და მათი დღის სინათლეზე წარდგენა. სპეციალისტების აზრით თანამედროვე საზოგადოება სწორედ ამ ცვლილებების მიჯნაზეა. ამ სიტუაციის გათვალისწინებით პესიმიზმის საფუძველი ნელ-ნელა ირყევა, ვინაიდან ახალი თაობის ტექნოლოგიები ნიშნავს ახალ შესაძლებლობებს გლობალური ბაზრების განვითარებაში, ნიშნავს გაცილებით გამარტივებულ კომუნიკაციას მსოფლიო მასშტაბით რაც თავისთავად გააჩენს შესაძლებლობას ეკონომიკური ზრდას მოწყურებული ქვეყნებისთვის. დღეს არსებული განსხვავება ცხოვრების დონეში, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, დიდწილად განპირობებულია ინდუსტრიული რევოლუციებში ქვეყნების ჩართულობით. მოწინავე ქვეყნები ინდუსტრიალიზაციაში დღეს მოწინავე ქვეყნები არიან ცდოვრების დონით, შესაბამისად განვითარების ახალ ტალღას პირველად მიდევნებული ქვეყნებისთვის ეკონომიკური განვითარების, ზრდის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების ახალი შესაძლებლობების ასპარეზი იხსნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1) თევდორაძე. ნ., პაპაშვილი ლ., საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან, თბილისი 2007
2) ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2010
3) გურგენიძე პაატა: თავისუფალი ვაჭრობა კრიზისშია, თბილისი 2019 http://european.ge/tavisufali-vachroba-krizisshia/
4) Borensztein, E., J. De Gregorio 1998. ”როგორ მოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეკონომიკურ ზრდაზე? ” ჟურნალი საერთაშორისო ეკონომიკა, გვ 45-46, ვაშინგტონი.
5) ბერგი ჰოვარდ, ეკონომიკური ზრდა და განვითარება, მესამე გამოცემა, ნებრასკა

(2016)

6) ზაქსი ვოლფგანგ, მდგრადი განვითარება და ბუნებრივი გარემოს კრიზისი: ოქსიმორონიის პოლიტიკური ანატომია (2018) http://european.ge/oqsimoronis-politikuri-anatomia/

7) კეინზი ჯ,. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. თბილისი 1995

8) საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf

9) https://www.cambridge.org/core/journals/world-politics/article/obsolescence-of-capital-controls-economic-management-in-an-age-of-global-markets/C3BAEF25EB39BBE777288B7054187E79

10) https://link.springer.com/article/10.1007%2FBF02687365?LI=true

11) https://ourworldindata.org/trade-and-globalization

12) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e

13) https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

14) https://www.mof.ge/

15) https://www.geostat.ge/ka

16) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e

17) https://www.youtube.com/watch?v=Fb5O00tIKZ4

18) http://www.economy.ge/

19) https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0022199697000330

20) https://commersant.ge/ge/post/qobulia-saqartvelos-sheudzlia-ekonomikuri-zrda-9-mde-gazardos.

21) https://forbes.ge/news/1893/ekonomikuri-globalizaciis-msoflio-indeqsi.

22) https://www.statista.com/topics/6139/covid-19-impact-on-the-global-economy/

23) https://www.gop.gov/9-ronald-reagan-quotes-about-taxes

24) https://www.theguardian.com

25) https://data.worldbank.org

26) https://www.rs.ge/6543

დანართი 1[14]



[14] https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

დანართი 2[15]

სურათი 1. მშპ ერთ სულ მოსახლეზე OECD ეკონომიკებში (1960-2000)



Activate Windows
Go to Settings to activate W

სურათი 2. მშპ ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური სასწაულის ქვეყნებში (1960-2000)



Activate Windows

[15] https://www.worldbank.org/

სურათი 3. მშპ ერთ სულ მოსახლეზე კატასტროფული წრდის მქონე ქვეყნებში (1960-2000)



სურათი 4. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში (1960-2000)



სურათი 5. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ლათინური , ცენტრალური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნები (1960-2000)



დანართი 3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)[16]

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020(წინასწარი)
სულ	1 039.2	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7	165.4
I კვ	291.8	331.9	343.4	392.2	411.7	323.5	283.6	165.4
II კვ	224.1	217.6	493.2	452.1	394.0	403.6	209.8	
III კვ	271.6	749.5	531.1	506.5	627.9	367.0	427.4	
IV კვ	251.6	538.0	361.3	299.5	529.0	171.0	347.0	

დანართი 4

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ)[17]

	2015	2016	2017	2018	2019	2020 (წინასწარი)
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ), მილიარდი ლარი	33.2	34.2	38.8	42.9	48.0	10.6
მეშ ერთ სულზე, ლარი	8 902.9	9 168.6	10 398.5	11 502.4	12 896.8	2 855.3
მეშ, მილიარდი აშშ დოლარი	14.6	14.4	15.56	16.9	17.0	3.6
მეშ ერთ სულზე, აშშ დოლარი	3 921.7	3 874.0	4 145.1	4 538.3	4 574.7	975.6

დანართი 5

[16] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
[17] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)[18]

	2015	2016	2017	2018	2019	2020 (წინასწარი)
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	35.8	40.8	44.6	50.0	11.1
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	34.9	36.6	38.4	40.4	9.0
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	3.0	2.9	4.8	4.8	5.1	2.2
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	5.8	2.6	8.5	4.4	6.6	6.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	9 109.4	9 613.9	10 933.9	11 968.0	13 428.9	2 976.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 763.5	1 017.1
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	17.7	3.8

[18] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp